ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 30 ნოემბერი, 2022 №236 (9014) ფასი: 80 თეთრი

წალენჯიხის მერი აცხადებს, რომ მის ავტომობილში ხანძარი ხელოვნურად გააჩინეს

გვ.5

„ივანიშვილი სააკაშვილთან პინგ-პონგის თამაშს აგრძელებს“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ეს ხელისუფლება ვერასდროს ვერ დაამტკიცებს, რომ სააკაშვილი სამართლიანად გაასამართლა“

„ბრეგაძემ კეთილი ინებოს და დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ სააკაშვილი არ საჭიროებს უცხოეთში გადაყვანას“

„რუსეთი ითხოვს სააკაშვილის თავს! ეს ღია და აშკარაა“

მამუკა გვაძაბია: „საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას დახუთული ოთახივით განიავება სჭირდება“

გვ.3

მაია ნიკოლეიშვილი: „ადამიანი ციხეში არ უნდა მოკვდეს, ამაზე ორი აზრი არ არის, სააკაშვილი და სააკაშვილზე ასჯერ უარესიც რომ იყოს“

„ნაცმოძრაობა არის ამ ქვეყნის ჯადო“

გვ.4

გვ.3

„რაც შემიძლია, ვლოცულობ, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნდეს“ — მეუფე ნიკოლოზი მიხეილ სააკაშვილზე

გვ.2

შალვა ნათელაშვილი: „დღეს მორიგი სასწაული მოვისმინე... ამათ მართლა არაფერი აღარ ეშველებათ“

„2023 წლიდან იზრდება სოციალურად დაუცველი ბავშვების გასაცემელი, დეკრეტული შვებულების ანაზღაურება, საჯარო მოხელეების ხელფასები...“

გვ.2

სოსო არჩვაძე: „გაზრდილი საბიუჯეტო ხარჯები გაზრდილ ეკონომიკას ეფუძნება“

2 მამუკა მდინარაძე: „დაანებონ თავი და დაწყნარდნენ“

5 რატი ბრეგაძე: „სააკაშვილს ვთავაზობთ, ჩამოიყვანოს ნებისმიერი უცხოური კლინიკიდან ნებისმიერი ექიმი“

4 რა შეიცვალა მობილიზაციის შემდეგ დაღესტანში?

6 ბელორუსში დიდი მოვლენები მზადდება

1993230720223

„2023 წლიდან იზრდება სოციალურად დაუცველი ბავშვების გასაცემელი, დეკრეტული შვებულების ანაზღაურება, საჯარო მოხელეების ხელფასები...“

სოსო არჩვაძე: „გაზრდილი საბიუჯეტო ხარჯები გაზრდილ ეკონომიკას ეფუძნება“

ნონა ცაბაძე

თამილა ბარკალაია

გიორგი ცუცქირიძე

სოსო არჩვაძე

სოციალურად დაუცველი ბავშვების გასაცემლის, საზოგადოებრივ სამუშაოებზე, სოცდაუცველთა დასაქმების პროგრამისა და დეკრეტული შვებულებების ანაზღაურების გაზრდის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ, მთავრობის სხდომაზე გაჟღერებულ სიახლეებზე ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე **თამილა ბარკალაია** საუბრობს.

– როგორც პრემიერმა დააანონსა, 2023 წლის 1-ელი ივლისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვების გასაცემელი 150 ლარიდან 200 ლარამდე გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები 2022 წლის ივნისიდან უკვე გაზრდილ, 150-ლარიან გასაცემელს იღებენ. მაშინ, ბავშვებისათვის გასაცემი თანხის გარდა, ასევე გაიზარდა ის ქულა, რომლითაც კრიტერიუმები შეიცვალა და მეტ ბავშვს მიეცა შესაძლებლობა, მიიღოს მეტი დახმარება. ეს არის ის დანამატი, სტანდარტულ-სოციალურ დახმარებასთან ერთად, რაც ამ ბავშვებისა და მათი ოჯახის სხვა წევრებისთვის გაიცემა.

ზოგადად, მიგვაჩნია, რომ სოციალურად დაუცველი მოზარდებისთვის ამ გასაცემელს დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს თანხა კონკრეტულად ბავშვის საჭიროებებისკენ არის მიმართული. როდესაც სიღარიბის დაძლევაზეა საუბარი, ბავშვთა სიღარიბე ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე სტანდარტული სიღარიბის მაჩვენებელი, რადგან ბავშვები ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია. შესაბამისად, სოციალური დახმარების სამიზნეები სწორედ ბავშვები და ბავშვიანი ოჯახები არიან, – აღნიშნა ბარკალაიამ.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ დეკრეტული შვებულების ანაზღაურების ზრდა არის მნიშვნელოვანი.

– დეკრეტული შვებულება, ეს არის სახელმწიფოს ვალდებულება, რომ ქალს შესთავაზოს ანაზღაურებადი დეკრეტი ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის პერიოდში. შრომის კოდექსით, დეკრეტული შვებულება, 6 თვის განმავლობაში იყო ანაზღაურებადი, ოდენობა კი გახლდათ – არაუმეტეს 1.000 ლარისა. ახლა თანხა გაორმაგდა და 2.000 ლარამდე გაიზარდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია უფლებრივი თვალსაზრისით – ქალს, რომელიც მშობიარობს, სჭირდება შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა.

აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი სიახლე – მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგებს საჯარო მოხელის სტატუსი არ აქვთ, მათი დეკრეტული ანაზღაურება, 6 თვის განმავლობაში, 100 %-იანი ხელფასის ოდენობით განისაზღვრა. ესეც უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა – განათლების სექტორის განვითარება სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, შესაბამისად, ამ პროფესიაში წახალისება, ვფიქრობთ, აუცილებელია“ – აცხადებს თამილა ბარკალაია.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ყურადღება გაამახვილა პრემიერის კიდევ ერთ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, 30 ათასამდე სოციალურად დაუცველი დასაქმდა. როგორც თამილა ბარკალაიამ აღნიშნა, სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამით 70.000 ადამიანი დაინტერესდა.

რას ითვალისწინებს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და რა მიმართულებებია პრიორიტეტული ქვეყნისთვის.

ეკონომისტი **გიორგი ცუცქირიძე** აცხადებს, რომ ბიუჯეტი წლის დასაწყისში არსებულ მოლოდინებთან შედარებით გაზრდილია, რაც მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ განაპირობა.

– უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ 2023 წლის ბიუჯეტი, წლის დასაწყისის მოლოდინებთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რაც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ მაღალ ზრდასა და დამატებით შემოსავლებთან, რაც ბიუჯეტმა მიიღო. დაკორექტირებული ბიუჯეტი უკვე შევა პარლამენტში განსახილველად და გვეცოდინება დეტალურად ყველა დაფინანსება, რაც პრემიერმა დააანონსა მთავრობის სხდომაზე.

მნიშვნელოვანია, რომ 2023 წლის ბიუჯეტში თავიდანვე იყო განსაზღვრული საჯარო მოხელეების ხელფასების ზრდა, რასაც ასევე ემატება პედაგოგების და ბაგა-ბაღების მასწავლებლების ხელფასების ზრდაც, ძალოვანი უწყებების დაფინანსების ზრდაც მნიშვნელოვანია ამ კუთხით და ამ ყველაფერს დაემატება ახალი მიმართულებები, რისი საშუალებაც გაზრდილმა, დაკორექტირებულმა ბიუჯეტმა მოგვცა. ეს არის ბოლო ორ წელიწადში სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების ოთხმაგი ზრდა, იყო 50 ლარი და 200 ლარი ხდება. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია დეკრეტული შვებულების დაფინანსების გაზრდა ბიუჯეტიდან, ესეც ორმაგდება – 1000 ლარი იყო და 2000 ხდება. ეს დემოგრაფიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი და მისასალმებელია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც არ იყო გაწერილი თავდაპირველ ბიუჯეტის პროექტში, ეს არის წამლები და მათი რეფერენტული ფასები. რეალურად ეს დაიწყო მაშინ, როდესაც თურქეთიდან შემოვიდა მედიკამენტები, რამაც მნიშვნელოვნად დასწია ფასები 60%-ით, ზოგ შემთხვევაში 80%-ით. საუბარია ქრონიკული დაავადებების წამლებზე, რაც ძალიან ძვირი იყო და ადამიანებს მათი ყიდვის შესაძლებლობა არ ჰქონდათ, რადგან საკუთარი ჯიბიდან უწევდათ გადახდა. რეფერენტული ფასების რეფორმა კი კიდევ უფრო მეტად შეამცირებს ამ ფასებს. რეფერენტული ფასების რეფორმას გარკვეული კრიტიკა გამოუჩნდა, რომ თითქოს ეს ზედმეტი ხარჯია ბიუჯეტისთვის და რომ სახელმწიფო არ უნდა აკეთებდეს ამას. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის წევრმა თითქმის ყველა სახელმწიფომ დანერგა ეს რეფორმა, რაც გულისხმობს, სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსულ ერთსა და იმავე მედიკამენტზე საშუალო ფასის განსაზღვრას, ანუ იმ ზღვარს, რომლის ზემოთაც წამლის ფასი არ ავა. – თქვა გიორგი ცუცქირიძემ.

ეკონომისტი ხაზგასმით აღნიშნავს დასაქმების პროგრამის მნიშვნელობასაც, რომელიც 2023 წლის ბიუჯეტშია გათვალისწინებული.

– არანაკლებ საყურადღებოა დასაქმების პროგრამაც.

ის ყველა პროექტი, რაც არის გაწერილი ბიუჯეტში, ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით – ახალი სკოლების, ბაგა-ბაღების მშენებლობა, გზების და ა.შ. მოითხოვს შესაბამის მუშახელს. პრობლემა არის ის, რომ, სამწუხაროდ, ბოლო წლებში ადამიანების ნაწილი, ვინც პოტენციურ სამუშაო ძალას წარმოადგენს, გადის ქვეყნიდან. გადიან პირობითად უფრო მაღალი ანაზღაურების იმედად, რაც ხშირად არის ცოტა ილუზორული, რადგანაც ხშირად ეს ადამიანები იმედგაცრუებულები უკან ბრუნდებიან. ქვეყანაში გვაქვს პოზიტიური ტრენდი, რომ უმუშევრობაც შემცირებულია ისტორიულ მინიმუმამდე, გაზრდილია დასაქმება, მიუხედავად ადამიანების გადინებისა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამუშაო ძალაა გაზრდილი, ანუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა არის გაზრდილი, იმ ადამიანების რიცხვი, ვინც აქტიურად ეძებს სამსახურს. ამის მიუხედავად, აუცილებელია, რომ ის გადინება, რაც დღეს ხდება, ვგულისხმობ სამუშაო ძალის თვალსაზრისით, შეჩერდეს, შენელდეს, განსაკუთრებით – იმ ფონზე, რომ მათ დღეს ექნებათ გაცილებით მაღალი და მეტი შეთავაზება, ვიდრე ეს ჰქონდათ გუშინ და გუშინწინ. ეს არის მაღალი ეკონომიკური ზრდის ბუნებრივი თანმდევი პროცესი, – განაცხადა გიორგი ცუცქირიძემ.

ეკონომისტ **სოსო არჩვაძის** განცხადებით, საქართველოს აქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა.

– საქართველოს აქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, იმედია წელსაც ასე იქნება, ინფლაცია, რა თქმა უნდა, სერიოზული გამოწვევაა, მაგრამ ინფლაციის ტემპთან შედარებით, რეალური შემოსავლების ზრდა უფრო თვალსაჩინო და მაღალია. მაგალითისთვის ერთს გეტყვით, ოფიციალური სტატისტიკის საფუძველზე, იზრდება დასაქმების მაჩვენებელი და იზრდება საშუალო ხელფასი.

– ბატონო სოსო, ყველაზე მეტად რა სფეროში გაიზარდა დასაქმება?

– დასაქმება მეტ-ნაკლებად ყველა სფეროშია გაზრდილი. იმიტომ, რომ ეკონომიკური აქტიურობა პირდაპირ უკავშირდება დასაქმების ზრდას. არსებობს კორელაცია ეკონომიკის ზრდის რამდენ პროცენტს უკავშირდება დასაქმების ან უმუშევრობის 1%-ით შემცირება. ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ ორნიშნა ეკონომიკურ ზრდაზე, თანაც ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში, ეს თვალსაჩინოა. იმის გათვალისწინებით, რომ კოვიდმა სერიოზული დარტყმა მიაყენა მომსახურების სფეროს, სატრანსპორტო, სარესტორნო ბიზნესს, სასტუმროებს და ტურიზმს ზოგადად, შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სფეროში აღდგენითი პროცესები უფრო დინამიურად ხორციელდება. ასევე გაუმჯობესების სტადიაშია სამშენებლო სექტორი. ასევე ტექნოლოგიური მიმართულება. ფაქტიურად ყველა დარგში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. მეშინია, რომელიმე არ გამომრჩეს.

– მედიკამენტების გაიაფებამ სერიოზული შვება მისცა მოსახლეობასო. საუბარია თურქულ მედიკამენტებზე. ხარისხთან დაკავშირებით ზოგ შემთხვევაში არის უკმაყოფილება, თუმცა ფასში სხვაობა საკმაოდ სერიოზულია.

– აქ ორი მომენტია, ერთი, გაზრდილი საბიუჯეტო ხარჯები, რომელიც გაზრდილ ეკონომიკას ეფუძნება. ეს ორ ასპექტში ვლინდება, ერთია წმინდა მონეტარული სახით, როდესაც ვუზრდით პენსიას, ხელფასს, დახმარებას, სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს და მეორეა არამონეტარული ფორმით, როდესაც ჩვენ გარკვეულ პირობებს ვქმნით, რომელსაც სარგებლობის მასშტაბი გაცილებით მეტი აქვს. ადამიანს სჭირდება თუ არ სჭირდება დახმარება, ეს ერთი საკითხია, მაგრამ როდესაც წამალი იაფდება, ამით მთელი საზოგადოება მოგებული რჩება. მე მეტსაც გეტყვით, თუ მაკროეკონომიკას დავუბრუნდებით, ბიუჯეტის ზრდის ყოველი ერთი ლარიდან, სოციალური დანიშნულების ხაზით უკვე დაახლოებით 70 თეთრი იხარჯება. მაშინ როცა, 2012 წლამდე, ეს პროცენტი მხოლოდ 32%-ს შეადგენდა. წინსვლა აშკარად გვაქვს და შედეგებზეც აისახება.

მამუკა მდინარაძე: „დაანებონ თავი და დაწყნარდნენ“

– ბიძინა ივანიშვილი ვერ გაიცნო ბევრმა, ეს ადამიანი, როგორც აღმოჩნდა, არ შანტაჟდება, მიუხედავად იმისა, რომ სასწორზე დევს 2 მილიარდი დოლარი, დაანებონ თავი და დაწყნარდნენ, ჯობია, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა.

– მსოფლიოში ყველაზე მაღალი რეპუტაციის საბანკო სისტემა ჰქონდა შვეიცარიას. სიდიდით მეორე ბანკი იყო „სვის კაპიტალი“ თუ არ ვცდები, ამ ბანკის რეპუტაციაც კი გადავიდა მეორე პლანზე და მეორე თუ მესამეხარისხოვანი გახდა იმ რაღაც ინტერესთან შედარებით, რომელ ინტერესსაც საბოლოო ჯამში მივყავდით საქართველოს ომში ჩაბმისკენ.

თუ მართლა ვიღაცას დასანქცირება უნდა, თავად ამბობს ის ადამიანი თავისი ადვოკატის მეშვეობით, მისი ადვოკატი, ასე მგონია, რომ მის გარეშე ასეთ კომენტარს ვერ გააკეთებდა. ადვოკატმა თქვა, რომ პრაქტიკული სანქციებია, რეალურად დასანქცირებულია. თუ შანტაჟის მეთოდად ვიღაც იყენებს სანქციებით მუქარას, ამას ჯობია დასანქცირება, ხალხს მაინც ეტყვი, რეალურად ბოლო ბოლო რა მოხდა, რატომ დაასანქცირეს.

მეორე არგუმენტი – შანტაჟს მანამდე აქვს აზრი, სანამ შანტაჟის ფორმა აქვს. რაღაცას რომ ემუქრებიან ადამიანს, ის რაღაც თუ შესრულდა, ამის შემდეგ შანტაჟს აზრი აღარ აქვს. ამიტომ, თუ ვინმეს რამე უნდა, დააწესოს ის სანქცია, თუ ამის თავი აქვთ და დაარქვან ყველაფერს თავის სახელი. მაგრამ ამას რატომ არ აკეთებენ იცით, მე რომ რაღაცით გემუქრებოდეთ, სანამ გემუქრებით, მანამდე შეიძლება ამის შეგეშინდეთ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი ვერ გაიცნო ბევრმა, რომელიც ცდილობს, შანტაჟით და მეორეხარისხოვნობის წარმოჩენით თუნდაც შვეიცარული საბანკო სისტემით, ეს ადამიანი, როგორც აღმოჩნდა, არ შანტაჟდება, მიუხედავად იმისა, რომ რისკზე და სასწორზე დევს 2 მილიარდი დოლარი. არ დაშანტაჟდა და რაღა უნდა უქნან, დაანებონ თავი და დაწყნარდნენ, ჯობია, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

შალვა ნათელაშვილი: „დღეს მორიგი სასწაული მოვისმინე... ამათ მართლა არაფერი აღარ ეშველებათ“

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი სოციალურ ქსელში წერს:

– დღეს მორიგი სასწაული მოვისმინე პარლამენტიდან, ვინმე ზარქუას საინფორმაციო ღრუბი გაჟღერებული, რომ თურმე საქართველოს კონსტიტუციის ავტორი ყოფილა „გავრილოვა“ ირაკლი კობახიძე. მე ვიყავი საქართველოს კონსტიტუციის სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელი 1995 წელს და კობახიძის ლანდიც კი ახლო-მახლოს არავის უნახავს. მოკლედ, ამათ მართლა არაფერი აღარ ეშველებათ.

ISSN 1987-9385
ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილი სააკაშვილთან პინგ-პონგის თამაშს აგრძელებს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ეს ხელისუფლება ვერასდროს ვერ დაამტკიცებს, რომ სააკაშვილი სამართლიანად გაასამართლა“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით განაცხადა, უცხოეთის ნებისმიერი კლინიკიდან შეუძლიათ ექიმის ჩამოყვანა და მკურნალობის პროცესში ჩართვა. რამდენად წავა ხელისუფლება მსჯავრის განრიდებაზე?

– მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილი ჩემთვის პოლიტიკურად მიუღებელი ფიგურაა, ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება. ამ შემთხვევაში, ვინაიდან სააკაშვილი პატიმარია, სახელმწიფოს ვალდებულებაა თავიდან ბოლომდე სააკაშვილის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა. კეთილი უნდა ინებოს „ქართულმა ოცნებამ“ და ადეკვატურად უმკურნალოს. ჩემი აზრით, სააკაშვილს ეკუთვნის მოცემული მდგომარეობიდან გამომდინარე, სასჯელის გადავადება და არა განთავისუფლება.

სამწუხაროდ, დღემდე ხელისუფლება სააკაშვილთან პინგ-პონგს თამაშობს. არ შეიძლება, ვინც არ უნდა იყოს ის, ადამიანის სიცოცხლით თამაში. ახლა ყველა მტკიცებულება მოდის ხელისუფლებაზე. კეთილი ინებონ და დაუმტკიცონ საზოგადოებას, სააკაშვილის მომხრეებს თუ მოწინააღმდეგეებს, ის ამ ქვეყნის პრეზიდენტი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მე მის ოპოზიციაში ვიყავი, სააკაშვილის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სამწუხაროდ, დღემდე ხელისუფლება პირიქით იქცევა, გატაცებიდან დაწყებული გლდანის ციხეში გადაყვანითა და ე.წ. შუმოკით დასრულებული. ეს არ არის ბრალის დამტკიცება და სამართლიანად მოპყრობა. სამართლიანი სასამართლოს უფლება აქვს ყველა ადამიანს, რა დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეს მას ჩადენილი. სამართლიანი სასამართლოს უფლება, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლება უნდა უზრუნველყოს ხელისუფლებამ. ეს ვალდებულება პირდაპირ ივანიშვილს აკისრია.

„ბრეგაძემ კეთილი ინებოს და დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ სააკაშვილი არ საჭიროებს უცხოეთში გადაყვანას“

– საზოგადოება სრულად არ არის ინფორმირებული სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. ამ მხრივ რა ვალდებულება აქვს იუსტიციის სამინისტროს?

– პირველ რიგში, იუსტიციის მინისტრს და შემდეგ მთლიანად მთავრობას აქვს ვალდებულება, საზოგადოება სრულად უზრუნველყონ ინფორმაციით, რა ხდება, რეალურად რა მდგომარეობაა, როგორ არის. ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, ეს იქნება უწყვეტი ვიდეო კადრებით თუ სხვა რაღაცით, რა თქმა უნდა, სააკაშვილის თანხმობით, რომ ის კარგად არის. თუ ეს არ მოხდება და ხელისუფლება საზოგადოებას არ დაუმტკიცებს დოკუმენტურად სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას საფრთხე არ ემუქრება, მაშინ მართლაც ძალიან ცუდად ყოფილა და ამიტომ მალავენ მის მდგომარეობას.

თუ მდგომარეობა მძიმეა, მაშინ უნდა გადაიყვანონ უცხოეთის კლინიკაში და მსჯავრის დროებით განრიდება უნდა მოხდეს. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს ძალიან გამჭვირვალედ, ვინაიდან საუბარი არის მესამე პრეზიდენტზე. არ აქვს მნიშვნელობა, მე მხარს ვუჭერდი თუ მის ოპოზიციაში ვიყავი. ეს ასე ხდება კანონის შესაბამისად. კანონი არ უნდა დაირღვეს არც ერთ ადამიანთან მიმართებით. დღეს რასაც ვუყურებთ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით, არის უფრო პირადი, პოლიტიკური ანგარიშსწორება, ვიდრე ჩადენილი დანაშაულის დამტკიცება და, შესაბამისად, გასამართლება.

ქვეყანაში არ არსებობს სამართლიანი სასამართლო და, შესაბამისად, ეს ხელისუფლება ვერასდროს ვერ დაამტკიცებს, რომ სააკაშვილი სამართლიანად გაასამართლა და პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან არ გვაქვს საქმე. ამიტომ, მურუსიძის ჩახუტებას ერჩივნა, სამართლიანი სასამართლო შეექმნა, მაგრამ ეს უკვე წარსულია.

„ქართული ოცნების“ ამოცანა არასდროს ყოფილია სამართლიანი სასამართლოს შექმნა და ქვეყნის სამსახურში ყოფნა. ამიტომ უნდა წავიდეს ეს ხელისუფლება სხვა ბევრ მიზეზთან ერთად. ჩემთვის დაუსჯელობის სინდრომიც და პირადი მოტივებით ანგარიშსწორება ერთი და იგივეა.

– თუ მართლაც ცუდად არის, გამორიცხავთ, რომ გადაიყვანენ უცხოეთში?

– საზოგადოებას დაუმტკიცონ, რომ ანგარიშსწორებას არ აქვს ადგილი. საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. ბრეგაძემ კეთილი ინებოს და რამდენიმე დღეში, შეიძლება დღეები გვიანიც იყოს თუ ცუდად არის, რამდენიმე საათში დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ სააკაშვილი არ საჭიროებს უცხოეთში გადაყვანას. ეს ვალდებულება მას აკისრია და უნდა გააცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა.

მკაფიოდ ვაცხადებ, მე სრულიად სამართლიანად ვებრძოდი შევარდნაძეს, ვებრძოდი სააკაშვილს და ვებრძვი ივანიშვილს, მაგრამ ივანიშვილიც რომ აღმოჩნდეს სააკაშვილის მდგომარეობაში ანუ არ ჰქონდეს სამართლიანი სასამართლოს უფლება და ის აღმოჩნდეს ამ მდგომარეობაში, მე მასაც დავიცავ. მე არასდროს არ ვყოფილვარ სიკვდილით დასჯის მომხრე.

სააკაშვილს მტკიცებულებებით უნდა დაუმტკიცონ დანაშაული და არა პირადი ანგარიშსწორების საფუძველი გახდეს ადამიანის, ღმერთმა დაიფაროს ან სიკვდილი, ან დაინვალიდება. ვხედავთ, რომ აშკარად ივანიშვილი პინგ-პონგის თამაშს აგრძელებს სააკაშვილთან.

„რუსეთი ითხოვს სააკაშვილის თავს! ეს ღია და აშკარაა“

მამუკა გვაძაბია: „საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას დახუთული ოთახივით განიავება სჭირდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი მამუკა გვაძაბია პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, მაგრამ ამ ფონზე ძალიან ცუდად გამოიყურება მისი პარტია. დღეს ნაციონალურ მოძრაობაში ძალიან ცუდი სიტუაციაა, რა ხდება და რატომ მოინდომეს მაინცდამაინც ახლა არჩევნები და ადგილი ხომ არ აქვს გარედან ჩარევას?

– მე ამ სიტუაციაში ობიექტური და მიუკერძოებელი ვარ. ამიტომ ვეცდები, რომ ობიექტურად შევაფასო სიტუაცია. ნაციონალურ მოძრაობას საქართველოს ამომრჩევლების დიდი რაოდენობა უჭერდა მხარს. ის, რაც დღეს ამ პარტიაში ხდება, ამას ქვეყნის ტრაგედიად არ განვიხილავ.

– თუმცა ამომრჩევლისთვის კარგი საყურებელი არ არის.

– რა თქმა უნდა, ნამდვილად არ არის. კარგი საყურებელი რომ არ არის, ეს თავიანთ თავს უნდა დააბრალონ. პარტიამ თუ ამის გამო რეიტინგი დაკარგა, ეს მათივე ლიდერების ბრალია. დემოკრატიული თვალსაზრისით კი კატასტროფა არ ხდება, კონკურენცია უნდა იყოს პარტიაშიც, მაგრამ შიგნით უკვე რამდენიმე დაჯგუფებაა, ვიცით, ვის უკან ვინ დგას... არასწორი მეთოდებით არ უნდა მიდიოდეს ბრძოლა და ტალახის სროლა ერთმანეთისთვის.

– ვიცით, ვის უკან ვინ დგასო და ვანო მერაბიშვილი გააქტიურდა ბოლო პერიოდია.

– ვანო მერაბიშვილი რამდენიმე წელი ციხეში იჯდა, გამოვიდა და გააქტიურდა, აბა სხვა რა გააკეთოს? მისი გააქტიურება ბუნებრივია, ამ შემთხვევაში მასზე არც ცუდს ვამბობ და არც კარგს.

– რამდენად უნდა ლიდერობა პარტიაში?

– ალბათ გახსოვთ მელიას განცხადება, სადაც მერაბიშვილია, იქ ჩემი ადგილი პარტიაში არ არის. შედეგიც სახეზეა.

– ანუ თავიდანვე გამოიკვეთა მათ შორის არსებული დაპირისპირება?

– დიახ. ეს თავიდანვე ნათელი გახდა. სხვადასხვა კატეგორიაა მერაბიშვილი და მელია, ამიტომ მათი შეუთავსებლობა მე არ მიკვირს. სხვა საკითხია, არჩევნები რომ ჩატარდება, მერე რა იქნება.

– რას გულისხმობთ?

– არჩევნები აუცილებლად ნორმალურად უნდა ჩატარდეს. არ ვიცი, რომელ პლატფორმაზე ჩატარდება, თუმცა აქ მთავარია არჩევნების შედეგების აღიარება. შედეგების აღიარება თუ არ იქნება, მაშინ ეს აუცილებლად გამოიწვევს პარტიის დაშლას, პარტიის გახლეჩას. ამიტომ თუ ეყოფათ პოლიტიკური კულტურა, თუ ეყოფათ გონი, პოლიტიკური მოწიფულობა, მაშინ დამარცხებულმა მხარემ, ეს მარცხი უნდა აღიაროს ცივილურად და მიუღოცოს გამარჯვებულ მხარეს არჩევნების შედეგი. ეს თუ არ იქნება, პარტია აუცილებლად გაიხლიჩება.

– ბატონო მამუკა, როგორია კეზერაშვილის როლი ამ ყველაფერში?

– კეზერაშვილის როლი, ბიძინა ივანიშვილს როლთან შედარებით, მიზერია, ვგულისხმობ, როგორც ბიძინა ერევა პროცესებში, მაგრამ კეზერაშვილის როლი, რა თქმა უნდა, არის. ის ფულს აძლევს ამ პარტიას. ყველა ხელისუფლება ცდილობს მოიძიოს სპონსორი. სწორედ ეს მოძიებული თანხაა კეზერაშვილის ფული. აი ეს არის რეალობა და ამ რეალობის გამო თვალის დახუჭვა არ შეიძლება.

– თუმცა, ივანიშვილისა არ იყოს, ისიც რომ კულისებს მიღმაა და არ ჩანს? რაზეც ივანიშვილს ვედავებით, იგივე უნდა კეზერაშვილსო, განაცხადა ნიკა მელიამ.



– კი, ეს მეც ვთქვი, რომ იგივეს აკეთებს. თუმცა, ივანიშვილისგან განსხვავებით, კეზერაშვილს ხელისუფლებაზე წვდომა არ აქვს. მე აქედან ამოვდივარ, თორემ კეზერაშვილიც იგივეს აკეთებს, ოღონდ სხვა მასშტაბებით. კეზერაშვილს სახელმწიფო ინსტიტუციებზე არანაირი გავლენა არა აქვს და ვერც ექნება. როცა ჰქონდა, ვიცით, რასაც აკეთებდა. ადრეც ვთქვი და გავიმეორებ, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას დახუთული ოთახივით განიავება სჭირდება. ამიტომ ეს დეოლიგარქიზაციის კანონი თუ ვენეციის კომისიაში გადაიხედება და მიიღებენ, ეს ძალიან კარგი იქნება. ეს პროცესებს ნამდვილად შეცვლიდა ჩვენს ქვეყანაში და პოლიტიკურ ცხოვრებას გაანიავებდა.

– რას იტყვით სააკაშვილზე, ვისმენთ შეფასებებს, რომ ის საკმაოდ მძიმედ არის. გაუშვებენ?

– რუსეთი ითხოვს სააკაშვილის თავს! ეს ღია და აშკარაა. ხელისუფლება ამას პირდაპირი ფორმით ვერ გააკეთებს. დღეს ივანიშვილი პირდაპირ კონტაქტობს რუსეთის ხელისუფლებასთან და სწორედ მათ დავალებებს ასრულებს. ჩვენი ხელისუფლების მიზანია, მიხეილ სააკაშვილი ისე დაძაბუნდეს, რომ პოლიტიკაში სიტყვაც კი ვერ თქვას. აშკარად მიდის ამ ადამიანის განეიტრალება, ვგულისხმობ პოლიტიკურ განეიტრალებას. შეიძლება მისი სიკვდილიც ძალიან უნდოდეთ, მაგრამ ამას ვერ გაბედავენ. მე მიმაჩნია, რომ მაინც მოუწევთ სააკაშვილის გაშვება სამკურნალოდ. ასე დიდხანს ვეღარ გაგრძელდება.

ირაკლი კობახიძე: „ერთმანეთზე უინტელექტო, ერთმანეთზე ოდიოზური და ერთმანეთზე სამარცხვინო“

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე „ნაციონალურ მოძრაობას“ „გოიმურ“ პარტიას უწოდებს. მეტიც, ირაკლი კობახიძის თქმით, ენმ-ის თავმჯდომარეობის მსურველი ყველა კანდიდატი „უინტელექტო, ოდიოზური და სამარცხვინო“ პიროვნებაა.

– ნაცმოძრაობაში გრძელდება დაშლის პროცესი და პარტია სუსტდება თანდათანობით, რაც ძალიან კარგია ჩვენი პოლიტიკური სისტემის ჯანსაღი ფორმით განვითარებისთვის. სამი კანდიდატია ამ პოლიტიკურ პარტიაში და სამივე არის ერთმანეთზე უინტელექტო, ერთმანეთზე ოდიოზური და ერთმანეთზე სამარცხვინო. ვგულისხმობ ხაბეიშვილს, მელიას და მუმლაძეს.

საზოგადოება შეხედავს ამ ყველაფერს და ნახავს, თუ რამდენად გოიმურია თავისი არსით ის პოლიტიკური პარტია, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია და რამდენად უინტელექტოა ის შემადგენლობა, რომელიც ამ პოლიტიკურ პარტიას ხელმძღვანელობს, – განაცხადა კობახიძემ.

„რაც შემიძლია, ვლოცულობ, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნდეს“ — მეუფე ნიკოლოზი მიხეილ სააკაშვილზე

– ბოლო რამდენიმე მონახულებაზე, უფრო და უფრო სუსტად მეჩვენება, – ამის შესახებ მეუფე ნიკოლოზმა კლინიკა „ვივამედთან“ მას შემდეგ განაცხადა, რაც ქვეყნის მესამე პრეზიდენტი მოინახულა. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, მიხეილ სააკაშვილი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია.

– დაახლოებით თვეში 2-ჯერ მივდივარ მის მოსანახულებლად და ბოლო რამდენიმე შესვლაზე, უფრო და უფრო სუსტად მეჩვენება. ყოველ შემთხვევაში, დაახლოებით 2 თვის წინ ჯერ კიდევ ფეხზე იდგა და ჩვეულებრივად მხვდებოდა და ახლა წევს. ადგომაც, არ ვიცი, შეუძლია თუ არა, ვერ დადის. ყოველ შემთხვევაში, სეირნობა გამორიცხულია. ადრე კორიდორებში მაინც სეირნობდა და ახლა არ შეუძლია. საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. ეს ჩემი შეუიარაღებელი თვალით.

არ ვიცი, ეს გადაწყვეტილება როგორ, ვის მიერ და სად ხდება, ამიტომ მე შემიძლია გითხრათ, რომ მე რაც შემიძლია, ვლოცულობ, იმისთვის, რომ მას სიცოცხლე შეუნარჩუნდეს. მეც მგონია, რომ ახლა სიცოცხლის შენარჩუნებაზეა ლაპარაკი, – განაცხადა მეუფე ნიკოლოზმა.

„ნაცმოძრაობა არის ამ ქვეყნის ჯადო“

მაია ნიკოლეიშვილი: „ადამიანი ციხეში არ უნდა მოკვდეს, ამაზე ორი აზრი არ არის, სააკაშვილი და სააკაშვილზე ასჯერ უარესიც რომ იყოს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი პასუხობს.

– ქალბატონო მაია, თურმე სააკაშვილი ძალიან ცუდად ყოფილა, გადაადგილება უჭირსო. ამ სიტუაციას თქვენ როგორ აფასებთ? ახლახან ექიმმა სასამართლოშიც არ გაუშვა, გადაადგილება არ შეიძლებაო.

– მე ძალიან თავს ვიკავებ ყველანაირი ვარაუდისგან, რა შეიძლება იყოს. როგორც ექსპერტი, მიჩვეული ვარ დოკუმენტის ნახვას. არ მინახავს დოკუმენტი და მიზეზი არ ვიცი, რატომ არ იყო მიზანშეწონილი მისი საავადმყოფოდან გაყვანა. როგორც მე მოვისმინე, ნევროლოგმა ნახა და კვლევები დაუნიშნა. ამიტომ არ არის მიზანშეწონილი მისი სასამართლოში გადაყვანაო. კლინიკის თანამშრომლებმა ასე თქვეს.

მეორე მხარე, ამბობენ, გაყვანა არ უნდოდათო. იმდენი ინტერპრეტაციაა, არ ვიცი, რა ვთქვა. ერთ წელიწადზე მეტია აცხადებენ, კვდება, კვდებაო. ამ პროცესს დამაჯერებლობას თვითონვე უკარგავენ. არ შეიძლება ასე რაღაცის გამოგონება, რაღაცის გაზვიადება. ბოლოს და ბოლოს, ადამიანი სიმართლეს ვეღარ იგებ. თვითონ რასაც ამბობენ, ყველაფერი გაზვიადებულია.

შარშან გვარამია ამბობდა, რამდენიმე დღე აქვს დარჩენილიო. აქედან გამომდინარე, ნდობა გვაქვს დაკარგული იმ ადამიანების მიმართ, ვინც კომენტარს აკეთებს. ამიტომ ვერაფერს ვიტყვი.

ისე, წელიწადი პალატაში უმოძრაოდ, სეირნობის, ჰაერზე გასვლისა და ყველაფრის გარეშე, კუნთების გარკვეული ატროფია რომ წავა, ამაში დარწმუნებული ვარ.

– როგორ?

– დაახლოებით იგივე მდგომარეობა მქონდა, როდესაც მისმა ხელისუფლებამ უსინდისოდ ბრალი რომ დამდო. ერთი წელი გარეთ ვერ გავდიოდი, ხალხის ნახვა არ შემეძლო, მრცხვენოდა და სახლში ვიყავი, კუნთები ისეთ მდგომარეობაში მქონდა, სიარული მიჭირდა.

მოძრაობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მერე და მერე ვარჯიშით და მოძრაობით აღდგენა შევძელი. ჩემ თავს სააკაშვილს არ ვადარებ, ღმერთმა დამიფაროს, სააკაშვილთან რაიმეთი გავიგივდე, მაგრამ მის მსხვერპლ ადამიანებს მოძრაობა შეზღუდული კი არა, საერთოდ, მოძრაობის უნარი დაკარგული აქვთ.

მის მიერ გაუბედურებული ადამიანები ვერ მოძრაობენ. ექიმი ვარ და ამას არანაირი შურისძიებით არ ვამბობ, მაგრამ იმდენი რამ თქვეს, უკვე არაფერი მჯერა.

სულხან მოლაშვილი ციხეში რომ მოვინახულე, განახევრებული იყო. სულხან მოლაშვილს გასახდომი ოპერაცია გაკეთებული არ ჰქონდა, როგორც სააკაშვილს, რომელმაც ჰოლანდიაში გასახდომი ოპერაცია გაიკეთა.

– როგორც ვიცი, ამგვარი ოპერაციის შემდეგ, წონაში თანდათან იკლებენ.

– გასახდომ ოპერაციას რომ იკეთებენ, განახევრებული კი არა, მესამედი წონები აქვთ. ოპერაციას იმიტომ იკეთებენ, რომ გახდნენ. ასეთი ოპერაცია საქართველოში ძალიან ბევრმა გაიკეთა და კმაყოფილი არიან შედეგით. მათ წონაში ძალიან დაიკლეს. ვიცით, რომ სააკაშვილმა ეს ოპერაცია გაიკეთა და, ალბათ, შედეგიც სახეზეა.

– ციხიდან რომ გამოუშვან, ისევ ისეთი გახდება, როგორიც იყო?

– არ ვიცი. ასეთი ისტერიული პატიმრობა ერთი იულია ტიმოშენკოსი ვიცი, მეორე – მიხეილ სააკაშვილის. იულია ტიმოშენკოზე ამბობდნენ, არიქა, ასეა, არიქა, ისეა, არიქა, კვდებაო, მეორეა სააკაშვილის ისტერიული მდგომარეობა.

– იულია ტომოშენკო ციხიდან ეტლით გამოვიდა და ძალიან მალე ეტლიდან ადგა.

– დიახ. ამიტომ ძალიან ძნელია, სააკაშვილის მომხრეებს დაუჯერო, რომლებიც ყოველ წუთში ამბობენ, კვდებაო. ადამიანი ციხეში რომ არ უნდა მოკვდეს, ამაზე ორი აზრი არ არის, სააკაშვილი და სააკაშვილზე ასჯერ უარესიც რომ იყოს, მაგრამ ველარაფერი გავიგეთ.

ოფიციალური სტრუქტურები ამბობენ, რომ სააკაშვილი მძიმედ რომ იყოს, რეანიმაციაში იქნებოდა. მსგავსი არაფერია. მისი ახლობლები ერთი წელია კლავენ. გაიძახიან: კვდება, კვდებაო. ყველაფერი გააუფასურეს. მის ჯანმრთელობაზე აღარაფრის მოსმენა აღარ მინდა, დავიღალე.

ასეთი ისტერიკა ციხეში არც ერთ პატიმარს არ ჰქონია, საქართველოში პატიმარი არ მეგულება, რომელიც ციხის გამო ამხელა ისტერიკაში იყოს. საქართველოში პატიმარი არ მეგულება, რომლის ჯანმრთელობაზე ამხელა ამბავი იყოს ატეხილი.

– ცოტა ხნის წინ, სააკაშვილის ადვოკატმა განაცხადა, რომ მიშა მოწამლეს. შემდეგ, როცა იუსტიციის მინისტრმა თქვა, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მივმართავთ, ექსპერტიზა ჩაუტაროსო, სააკაშვილმა დაწერა, მოწამლული არ ვარო. ეს რა თამაშია?

– ამას ყველაფერზე წასვლა ჰქვია. ორგანიზმში ვერცხლისწყალი აღმოჩნდაო. ადამიანის ორგანიზმში ვერცხლისწყლის გარკვეული რაოდენობა არსებობს, რაც ნორმალურად ითვლება. ნორმაა, რომ (ციფრს შეგნებულად არ ვამბობ) ადამიანის ორგანიზმში ვერცხლისწყლის გარკვეული რაოდენობა უნდა არსებობდეს.

ეტყობა, გაიგეს, რომ ორგანიზმში ვერცხლისწყლის გარკვეული რაოდენობა ჰქონდა და აჟიოტაჟი ატეხეს, ვერცხლისწყალს ადამიანის ორგანიზმში რა უნდაო. ეს უმეცრებაა. მასთან რომ დადიან, იმ ექსპერტებმა არ უნდა აუხსნან? ყველა შედეგს თავისი ინტერპრეტაცია აქვს. რაღაც რომ აღმოჩნდება, უნდა აუხსნა, ეს შეიძლება ნორმა იყოს, ამაზე მეტი უკვე მოწამვლაა. ეს არავინ აუხსნა და ერთი ამბავი ატეხეს.

მაპატიე, მაგრამ სოფლის ორღობის დონეა. აღმოჩნდა და დაასკვნეს, საშინელებაა. ვერცხლისწყალი ადამიანის ორგანიზმში ნორმაც შეიძლება იყოს. ეტყობა, მიშაც მიხვდა, ყველაფერი ნამეტანი სასაცილო იყო და თქვა, მოწამლული არ ვარო. ჯანმრთელობის მდგომარეობის ექსპერტიზაზე წლებია ვმუშაობ. ასეთი რამ არ უნდა იკადრო.

– გუშინ იუსტიციის მინისტრმა ჟურნალისტს დაუდასტურა, რომ სააკაშვილი სადაც არის, იქ ელექტრონულ სიგარეტს ეწევა. ელექტრონულმა სიგარეტმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მის ჯანმრთელობაზე? არავინ იცის, იმ სიგარეტში კიდევ რა ურევია. მომისმენია, რომ ასეთი სიგარეტი გარკვეულ მინარევებს შეიცავს.

– კი, მინარევები არის, მაგრამ მისი შემადგენლობა მე ნამდვილად არ ვიცი.

– ერთი მხრივ, მოითხოვენ, მიშა სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადავიყვანოთო, მეორე მხრივ, ამბობენ, მისი გადაადგილება არ შეიძლება. ეს როგორ გავიგოთ?

– ესეც ორღობის მიმატებაა. ექიმებმა თქვეს, ნევროლოგმა ნახა, კვლევები დანიშნა და ის კვლევები უნდა ჩაუტარდესო. უცებ, ესენი ამბობენ, რეანიმობილითაც კი გაუჭირდება გადაადგილებაო. მგონი, ეს კიდევ რაღაც მობმული ამბავია. უკვე აღარ ვიცი, რა ვთქვა.

ერთი კი მაინტერესებს, ამდენი თვეა და ექსპერტის დასკვნა რით ვერ დაიწერა, რომ ბოლოს და ბოლოს ქვეყანამ გაიგოს, რა ხდება.

– მიშასთან უამრავი ექსპერტი შევიდა. ექსპერტი ამერიკიდან კი ჩამოიყვანეს. მართლა საინტერესოა, ექსპერტები დასკვნას რატომ არ წერენ?

– 9 თვეში ბავშვი იბადება და ერთი დასკვნა რით ვერ დაიწერა. მე ზუსტად ამაზე ვმუშაობ, მაგრამ ამდენი ხანი დასკვნა ვერ დაიწეროს, ასეთი რამ არ არსებობს. მაშინ გამოდის, დასკვნას ვერ წერ და თავი დაანებე.

– ანუ დასკვნის დაწერის საფუძველი არ არის?

– ალბათ, საფუძველი არ არის. თორემ, როგორ შეიძლება, ამდენი თვე დასკვნას წერდე. 8 თვეზე მეტი გავიდა. ელოდები, ბოლოს და ბოლოს, ეს კაცი ცუდად გახდება და რაღაც ახალი შემოვიტანოთო? ამდენი ამბავი რად უნდა? რამდენიმე დამატებითი კვლევა და მერე დიაგნოზი ისმება. თუ დიაგნოზი არ არსებობს, საიდან უნდა მოიტანო, ხომ ვერ გამოიგონებ.

თუ მძიმე დაავადებები ჩანს, დასკვნა უნდა დაწერო. ასეთ დასკვნას მე მაქსიმალურად სწრაფად ვწერ, რომ ადამიანს დროზე უშველონ. თუ მდგომარეობა მძიმეა, ყველაფერს გადავდებ და, პირველ რიგში, იმ დასკვნას ვასრულებ, მისი ჯანმრთელობის საკითხი რაც შეიძლება სწრაფად რომ განიხილონ.

დასკვნის დაწერა ამისთანა რა გახდა, ე.ი. საფუძველი არ აქვთ, თორემ ამდენი ხანი დასკვნა ვერ დაწერეს? ხან რას ამბობენ, ხან – რას, დასკვნა კი არ ჩანს.

– რამენაირად შეიძლება სააკაშვილთან დაკავშირებული პროცესები ნაცმოძრაობაში არსებულ ვითარებას დავაკავშიროთ?

– სააკაშვილზე პირველივე დღიდან გაიძახიან, არიქა, კვდებაო. მაგათ ნათქვამ მართალსაც ვეღარ ვიჯერებ. ნაცმოძრაობა დიდი ხანია მომაკვდავია. ნაცმოძრაობას დასავლეთის დავალებით „ქართული ოცნება“ აცოცხლებდა და სულს ბერავდა. ახლა აღარ აცოცხლებს და ნაცმოძრაობა კვდება. სააკაშვილისაგან განსხვავებით, ბოლოს ნაცმოძრაობა მართლა მოკვდება. უკვე სასაცილო გახდა. რომელ კანდიდატურასაც წამოაყენებენ, ხალხი ზის და იცინის, ერთმანეთზე მეტი კომიკური ფიგურებია.

– როგორ ფიქრობთ, „ნაცმოძრაობის სიკვდილი“ პოლიტიკური სპექტრის გაჯანსაღებას წაადგება?

– 2012 წლის შემდეგ ნაცმოძრაობა ქვეყნის მუხრუჭია. მთელი 10 წელი დესტრუქციაზე, ქვეყნისთვის თავის მოჭრაზე, ქვეყნის გაუბრალოებაზეა გადასული. ბოროტი და დესტრუქციული ძალა, ნაცმოძრაობა რომ არ ყოფილიყო, შეიძლება, საქართველო ევროკავშირის წევრი აქამდე გამხდარიყო. ამაში დარწმუნებული ვარ. ეს არის ჯადო. ნაცმოძრაობა ქართულ პოლიტიკას უნდა მოშორდეს. პოლიტიკასთან მათ საერთო არაფერი აქვთ. ეგენი პოლიტიკიდან დიდი ხანია წავიდნენ. მხოლოდ დესტრუქციაზე არიან იმისათვის, რომ რამენაირად ქვეყანას რაღაც ავნონ და ხელისუფლებაში მოვიდნენ. ამ ხალხს 10 წლის მანძილზე მეტი არაფერი გაუკეთებია.

რა შეიცვალა მობილიზაციის შემდეგ დაღესტანში?

მარიამ მჭედლიშვილი

„იმპერიის დაშლა გარდაუვალია“

მსოფლიოს ანალიტიკოსები ფრთხილად უდგებიან პროგნოზებს რუსეთის ფედერაციის შესაძლო დაშლის თემაზე. ისინი ამას არ გამორიცხავენ. საკითხის გააქტუალურება მოხდა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ. რუსეთის ფედერაციიდან გამოყოფის პრეტენდენტებს შორის არიან საქართველოს მეზობელი ავტონომიური რესპუბლიკები. მათგან ყველაზე მეტ აქტიურობას იჩენენ ჩეჩნები, რომელთა რამდენიმე ბატალიონი (მათ შორის, დიასპორების წარმომადგენლები) იბრძვის უკრაინის მხარეს. უკრაინის უმაღლესმა რადამ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერია რუსეთის მიერ ოკუპირებულად აღიარა. იყო ცნობები იმაზეც, რომ უკრაინის ომში რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ბატალიონი დაღესტანშიც იქმნება.

რატომ იბრძვის უამრავი დაღესტნელი რუსეთის ჯარში უკრაინის წინააღმდეგ? რატომ მონაწილეობენ რუსეთის კოლონიზირებული დაღესტნის წარმომადგენლები რუსეთის კოლონიალურ ომში? როგორ კოლონიალურ კონცეფციას ამკვიდრებს რუსეთი? შესაძლებელია თუ არა რუსეთის იმპერიის დაშლა? – ამ და სხვა საკითხებზე რადიო „თავისუფლების“ რუსულ სამსახურს ესაუბრა დაღესტნელი მწერალი ალისა განიევა.

– რითი ხსნით დაღესტნის ასეთ მძლავრ მონაწილეობას ომში და რუსეთის მიმართ მხარდაჭერას?

– უკანასკნელ წლებში დაღესტნელები არმიისკენ მიისწრაფვოდნენ. თუ ცენტრალურ რუსეთში მიღებული იყო ქრთამის გადახდა გაწვევისგან თავის დასაძვრენად, დაღესტანში, პირიქით, ტრადიციულად, შენატანი შეჰქონდათ სამხედრო კომისარიატში, რომ ჯარში მოხვედრილიყვნენ. ეს დაკავშირებულია სოციალური ლიფტების დეფიციტთან. ეს არის ერთი იმ მცირე საშუალებათაგან, რომ ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიო, კარიერულ კიბეზე ახვიდე.

ახლანდელი უსამართლო და ოკუპანტური ომის სიტუაციაში, რუსეთის ჯარში მონაწილეობის ეთიკური შემადგენელი, რასაკვირველია, ძლიერ შეიცვალა. ითვლება, რომ რუსეთს კოლონიები არ ჰყოლია, მეტროპოლია კი მეტს გასცემდა, ვიდრე იღებდა. ეს არის შიდა კოლონიალიზმის გავრცელებული კონცეფცია.

– დაღესტანი რუსული კოლონიალიზმისაგან ერთ-ერთი დაზარალებულია. რატომ ჩაება ის ასეთი ენთუზიაზმით კოლონიალურ ომში? დაღესტნელებს უკრაინელი ხალხის მიმართ სოლიდარობა არ გააჩნიათ?

– თანამემამულეების მიმართ ყოველთვის მქონდა შეკითხვები. გაზაფხულზე ემოციური და მკაცრი წერილიც გავავრცელე. მეორე მხრივ, აქ მოქმედებს გაწვევის პოლიტიკაც: რეგიონებს გარკვეულ ციფრებს უდებენ. დამოკიდებულება ამ ომის მიმართ თანდათან იცვლებოდა. ამაზე მეტყველებს პროტესტები, რომლებიც გაიმართა „ნაწილობრივი მობილიზაციის“ გამოცხადების შემდეგ. საკონტრაქტო მონაწილეობის მიმართ ერთი დამოკიდებულება იყო, მობილიზაციის მიმართ სხვა დამოკიდებულებაა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ბოლო წლებში გავრცელებული ჩამორჩენილობა, კონსერვატიზმი, სიამაყის შერწყმა კონფორმიზმთან თვალსაჩინო გახდა იმიტომ, რომ დაღესტანში გადარჩენის ერთ-ერთი საშუალება სახელმწიფო სამსახურია... ვხედავთ, რომ ზოგიერთი ეთნიკური სოფლიდან (დაღესტანი, ბურიატია, ჩრდილოეთის ეთნიკური ჯგუფები) ჯარში მიჰყავთ კაცების ნახევარი, ზოგჯერ ორი მესამედიც კი.

– გრძნობს თუ არა დაღესტანი თავს რუსეთის კოლონიად? თუ რუსეთისადმი კუთვნილება და რუსული პატრიოტიზმი იგრძნობა?

– რუსული პატრიოტიზმი ყველაზე მეტად იგრძნობა სპორტული შეჯიბრებებისას. კავკასიელებს თავს აგრძნობინებენ რუსეთის წარმომადგენლებად მაშინ, როცა ისინი სჭირდებათ – ჩემპიონატებზე, ოლიმპიადებზე. სხვა დროს კავკასიელები გრძნობენ, რომ მათი რეგიონი მთლად რუსეთი არ არის.

– ომისა და რუსეთისადმი დამოკიდებულება კავკასიის რესპუბლიკებში ერთნაირია, თუ დიფერენციაცია არსებობს?

– მცირე დიფერენციაცია არსებობს. ომის მიმართ დამოკიდებულება დაკავშირებულია ერთ საკითხთან – არ არსებობს გაგება იმისა, როგორ უნდა იცხოვრონ რუსეთის გარეშე, კორუფციული მოდელის გარეშე.

როცა არსებობდა დოკუ უმაროვის ტერორისტული იატაკქვეშეთი და „იმარატ კავკასიის“ აჩრდილი, შემოთავაზებული იყო რადიკალური მოდელი – ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე ხალიფატის შექმნა ძირმომპალი სეკულარული მოდელის წინააღმდეგ. გვთავაზობდნენ ასეთ რელიგიურ უტოპიას. ახლა, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, არავინ ახალს არაფერს გვთავაზობს. ყველანი უბრუნდებიან რელიგიურ მოდელებს.

– ომის დაწყების შემდეგ ხშირად საუბრობენ რუსეთის ფედერალურ, ასე ვთქვათ, გარდაქმნაზე. კავკასიის რამენაირად გამოყოფის შესაძლებლობას თუ ხედავთ?

– ომამდეც დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ადრე თუ გვიან მოხდება: იმპერიის რღვევა გარდაუვალია. სხვა საკითხია – როდის, როგორი სახით, რა პროცესები მოჰყვება ამას, რამდენად სისხლიანი იქნება ეს. ეს შეიძლება ხვალაც მოხდეს და 100 წლის შემდეგაც.

მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე, მგზავრობის დაწყებამდე სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობის შემოწმება სავალდებულო იქნება

მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე, მგზავრობის დაწყებამდე სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობის შემოწმება სავალდებულო იქნება.

ცვლილება შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებითაა (№598) გათვალისწინებული და ძალაში 2023 წლის 1-ელი სექტემბრიდან შევა.

გამომცდელის დავალების შესაბამისად, მძღოლობის კანდიდატმა სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებს პასუხი ვიზუალურად უნდა გასცეს – ჩვენებით, შესაბამისი ხელსაწყოს გამოყენებით ან სხვა მოქმედებით ან/და ზეპირად.

სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობის შემოწმებასთან დაკავშირებით გამომცდელმა მძღოლობის კანდიდატს შერჩევითად შეიძლება მისცეს შემდეგი დავალებებიდან ნებისმიერი ორი:

განმარტოს, როგორ მოწმდება ძრავში ზეთის აუცილებელი დონის არსებობა;

განმარტოს, როგორ მოწმდება რეზერვუარში სამუხრუჭო სითხის აუცილებელი დონის არსებობა;

განმარტოს, როგორ მოწმდება მუშა მუხრუჭის გამართულობა;

განმარტოს, როგორ მოწმდება სადგომი მუხრუჭის გამართულობა;

განმარტოს, სად მოიძიება ინფორმაცია საბურავებში რეკომენდებული ჰაერის წნევის შესახებ;

განმარტოს, როგორ მოწმდება უსაფრთხო მოძრაობისათვის საბურავების საერთო მდგომარეობა;

განმარტოს, როგორ მოწმდება დამუხრუჭების სიგნალების გამართულობა;

განმარტოს, როგორ მოწმდება საჭის გამაძლიერებლის გამართულობა;

განმარტოს, როგორ მოწმდება ძრავის გაგრილების სისტემაში გამაგრილებელი სითხის აუცილებელი დონის არსებობა;

განმარტოს, როგორ მოწმდება მოხვევის შუქ-მაჩვენებლების მუშაობის გამართულობა;

განმარტოს, როგორ მოწმდება ფარებისა და შუქამრეკლების მწყობრში ყოფნა;

განმარტოს, როგორ მოწმდება მუშაობს თუ არა საავარიო შუქსიგნალიზაცია;

განმარტოს, როგორ მოწმდება მინამრეცხის რეზერვუარში სითხის დონე;

განმარტოს, როგორ მოწმდება საბურავები, რათა დარწმუნდეს მათში რეკომენდებული ჰაერის წნევის არსებობაში;

განმარტოს, როგორ მოწმდება საბურავები, რათა დარწმუნდეს პროტექტორის ნახატის საკმარისი სიმაღლის არსებობაში;

აჩვენოს, სად მოწმდება ძრავის გაგრილების სისტემაში გამაგრილებელი სითხის დონე;

აჩვენოს, სად მდებარეობს მინამრეცხის რეზერვუარი;

აჩვენოს, როგორ მოწმდება ხმოვანი სიგნალის გამართულობა;

აჩვენოს, სად მოწმდება ძრავში ზეთის დონე;

აჩვენოს, სად მდებარეობს სამუხრუჭე სითხის რეზერვუარი;

B და BE კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა ორეტაპიანი მიმდინარე წლის 25 აპრილიდან გახდა.

პირველი ეტაპი კვლავ დახურულ მოედანზე ტარდება, ხოლო მეორე ეტაპი – რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში.

მძღოლობის კანდიდატს უფლება აქვს პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე, თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გავიდეს, ხოლო პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე, პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარებიდან 365 კალენდარული დღის განმავლობაში.

ამასთან, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაინტერესებული პირი დაიშვება (პირველადი გასვლა) პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარებიდან არაუადრეს 15 დღისა.

წალენჯიხის მერი აცხადებს, რომ მის ავტომობილში ხანძარი ხელოვნურად გააჩინეს

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერმა, გია ხარჩილავამ კუთვნილი მანქანის დაწვის ფაქტზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა გაასაჯაროვა.

როგორც გია ხარჩილავა აცხადებს, მანქანაში ხანძარი ხელოვნურად არის გაჩენილი.

– დადგინდა, რომ ეს გახლავთ ხელოვნურად გაჩენილი ხანძარი.

ამავე დასკვნაში აღნიშნულია მთელი დინამიკა, თუ როგორ მოხდა ეს ხანძარი.

ეს არის ადამიანის მიერ გაჩენილი ხანძარი.

მთელ პერიმეტრზე ვიდეოკამერებია, თუმცა პოლიციას ამ საქმეზე ეჭვმიტანილი ჯერ არ ჰყავს, – განაცხადა ხარჩილავამ.

მისივე თქმით, მანქანის დაწვის ფაქტი არის გზავნილი ერთადერთი ოპოზიციური მერის და მისი გუნდის მიმართ.

ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს 88 მოქალაქეს გრანტი გადაეცემა

დევნილთა სააგენტოს ინფორმაციით, ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს 88 მოქალაქეს შემოსავლის წყაროს გაჩენის, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობისთვის გრანტი გადაეცემა.

დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამას დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ახორციელებს და მის მიზანს რეინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა წარმოადგენს. პროგრამის მონაწილეები საქმიანობის წამოწყებისა თუ გაფართოებისთვის საჭირო ტექნიკასა და ინვენტარს თავადვე არჩევენ.

მნიშვნელოვანია, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მათ გაუჩნდეთ შემოსავლის წყარო და აღარ მოუწიოთ ქვეყნის დატოვება. საშემოსავლო პროექტების დაფინანსების მსურველთა განაცხადების მიღებას სააგენტო წელიწადში ორჯერ აცხადებს. სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა პროფესიული განათლების ხელშეწყობას, სამედიცინო დახმარებითა და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფასაც ითვალისწინებს.

საერთაშორისო

უკრაინის სამხრეთ რეგიონში ბრძოლებია

უკრაინის სამხრეთ რეგიონშიც დიდი ბრძოლებია. ხერსონსჩინაზე უკრაინული არმია წინ წარმატებით მიიწევს. დაიწყო ნოვაია კახოვკიდან კოლაბორაციონისტების ევაკუაცია. ყველა, ვინც ოკუპანტებთან თანამშრომლობდა, იქაურობას ტოვებს. მიზეზი ცხადია: უკრაინული არმია ნოვაია კახოვკას მიუახლოვდა.

უკრაინელთა წინსვლის პასუხად ოკუპანტებმა ხერსონის დაბომბვა გააძლიერეს. თანახმად უკანასკნელი ცნობისა, ხერსონი 30-ჯერ დაიბომბა.

ზაპოროჟიეს ოლქშიც უკრაინელები წინ მიიწევენ. რუსები ენერგოდარის დატოვებას აპირებენ. პუტინის თანაშემწე პესკოვმა ეს ოფიციალურად უარყო:

უკრაინულმა არმიამ კვლავ მოიგერია რუსების შეტევა გულაი-პოლეს მიდამოებში. ოკუპანტებმა დიდი დანაკარგით დაიხიეს უკან.

უკრაინელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი

ტოტალური დაბომბვების მიუხედავად, უკრაინელები ოპტიმიზმს ინარჩუნებენ. უკრაინელთა 87% დარწმუნებულია, რომ რუსეთთან ომში გაიმარჯვებენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსახლეობის განწყობა ტოტალური დაბომბვების შემდეგ. უკრაინელთა 77% მიიჩნევს, რომ კაპიტულაცია დამღუპველია და მომხდარის შემდეგ რუსეთთან სალაპარაკო არაფერია.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში იზრდება

რუსი ოკუპანტების რიგებში დანაკარგები იზრდება. სურათი შემდეგია: ტანკები 2.908 (+3); თვითმფრინავები – 278; ვერტმფრენები – 261; განადგურებულია – 94. 000 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რატი ბრეგაძე: „სააკაშვილს ვთავაზობთ, ჩამოიყვანოს ნებისმიერი უცხოური კლინიკიდან ნებისმიერი ექიმი“

– მსჯავრდებულ სააკაშვილს ვთავაზობთ, ჩამოიყვანოს ნებისმიერი უცხოური კლინიკიდან ნებისმიერი ექიმი, – ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, მსჯავრდებული პატიმარი სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პენიტენციურ დაწესებულებებში და მსგავსი ტიპის მოთხოვნის სამართლებრივი ბერკეტი იუსტიციის სამინისტროს არ გააჩნია.

– კანონის წინაშე თანასწორობა ეს არის ერთ-ერთი მთავარი კონსტიტუციური ღირებულება, რომელიც თანაბრად ვრცელდება ამ ქვეყანაში მყოფ ნებისმიერ პირზე და კანონით გაუთვალისწინებელი გამონაკლისი ვერავის მიმართ იქნება დაშვებული.

საზოგადოებისთვის ასევე კარგად არის ცნობილი, რომ ცენტრი ემპათია ატარებს დამოუკიდებელ ექსპერტიზას, რომელშიც ასევე ჩართული იყვნენ უცხოელი ექსპერტებიც და როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფომ, თითოეულ მათგანს მისცა შესაბამისი ნებართვები დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდგომ.

გამომდინარე იმ მაღალი პასუხისმგებლობიდან, რომლითაც სახელმწიფო თითოეული ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ეკიდება, ახლაც გამოვთქვამთ მზადყოფნას და მსჯავრდებულ სააკაშვილს ვთავაზობთ, რომ ჩამოიყვანოს ნებისმიერი უცხოური კლინიკიდან ნებისმიერი ექიმი, რომელსაც სახელმწიფო მისცემს შესაძლებლობას, რომ ჩაერთოს მის მკურნალობაში, – თქვა რატი ბრეგაძემ.

ჯანდაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭომ შვიდ ექიმს სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება დროებით შეუჩერა

ჯანდაცვის სამინისტროში პროფესიული განვითარების საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე, სამედიცინო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ შესწავლილი საკითხები განიხილეს და 11 ექიმის პროფესიულ პასუხისმგებლობაზე იმსჯელეს.

ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

საბჭოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება დროებით შეუჩერდა შვიდ ექიმს.

პროფესიული განვითარების საბჭო ექიმთა პროფესიული საქმიანობის საფუძვლიან და დეტალურ შესწავლას უზრუნველყოფს, განიხილავს პაციენტისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხს, სამედიცინო პერსონალის შესაძლო გადაცდომებს, პროფესიულ პასუხისმგებლობებსა და არაკეთილსინდისიერ/არაეთიკურ, პაციენტთან შეუსაბამო მოპყრობის შემთხვევებს.

მოქალაქისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის შესწავლის მიზნით, პროფესიული განვითარების საბჭო კვირაში ერთხელ იკრიბება.

საბჭოს წევრებმა, 2022 წელს 296 ექიმის პროფესიულ პასუხისმგებლობაზე იმსჯელეს. მათ შორის, პროფესიული პასუხისმგებლობა დაეკისრა 219 ექიმს, აქედან ექვს მედიკოსს სახელმწიფო სერტიფიკატი გაუუქმდა, 56 ექიმს კი სხვადასხვა ვადით შეუჩერდა.

რაჭაში ავარიას ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე ემსხვერპლა

რაჭაში, შაორის წყალსაცავთან, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა – შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, ერთი კი დაშავდა.

არსებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა.

ბელორუსში დიდი მოვლენები მზადდება

გარდაიცვალა ბელორუსის საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადიმერ მაკეი (1958-2022). სიკვდილის ოფიციალური ვერსია ინფარქტია. არაოფიციალური ვერსიით მაკეი მოკლეს.

– ბელორუსის საგარეო საქმეთა მინისტრი რუსული სპეცსამსახურების მიერ იქნა ლიკვიდირებული, – ამტკიცებს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი, პოლკოვნიკი ოლეგ ჟდანოვი.

ვლადიმერ მაკეი ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ბელორუსი პოლიტიკოსი იყო. მას წლების მანძილზე სხვადასხვა თანამდებობები ეკავა. მაკეი იყო პრეზიდენტ ლუკაშენკოს თანაშემწე, მისი ადმინისტრაციის თავკაცი, ბოლოს საგარეო საქმეთა მინისტრი. ის ცნობილი იყო როგორც ლუკაშენკოს მარჯვენა ხელი. მართლაც, როცა ბელორუსი მასობრივმა გამოსვლებმა მოიცვა, მაკეიმ ლუკაშენკოს აშკარად მხარი დაუჭირა. მან საგარეო საქმეთა სამინისტროდან გაუშვა ყველა, ვინც ლუკაშენკოს აკრიტიკებდა.

– თუ ბელორუსის პრეზიდენტს არ ეთანხმები, ვერც საგარეო საქმეთა სამინისტროში იმუშავებ! – მაკეიმ ეს საჯაროდ, ტელევიზიით განაცხადა.

მაკეი აქტიურად გამოდიოდა ბელორუსი ოპოზიციონერების წინააღმდეგ. მათ შორის არ დაინდო ცნობილი მწერალი და ნობელის პრემიის ლაურეატი სვეტლანა ალექსიევიჩიც, ბელორუსებიც მაკეის ლუკაშენკოს კადრად მიიჩნევდნენ. ამავე დროს ყველა, ვინც მაკეის ახლოს იცნობდა, ამტკიცებდა, რომ ის პროდასავლურად და ანტირუსულად იყო განწყობილი. ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტი დმიტრო გორდონი წერს:

– მაკეი ლუკაშენკოსა და ევროკავშირს შორის ერთგვარ ხიდს წარმოადგენდა! ის რუსებს ვერ იტანდა და ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რათა ბელორუსს რუსეთთან კავშირი გაეწყვიტა.

ამერიკელი ექსპერტები მაკეის ლუკაშენკოს შემდეგ ქვეყანაში მეორე კაცად მიიჩნევდნენ. ალექსანდრ გრიგორიევიჩის ჯანმრთელობა კი სულ უფრო უარესდებოდა. მას აწუხებდა წნევები. ბევრი მოელოდა, რომ ლუკაშენკოს სიკვდილის შემდეგ ხელისუფლებაში მაკეი მოვიდოდა. ეს კი ბელორუსის საგარეო პოლიტიკაში ძირეულ შემობრუნებას ნიშნავდა. ქვეყნის საგარეო ვექტორიც დასავლეთისაკენ გადაინაცვლებდა.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ბელორუსში ვითარება გართულდა. პუტინი აძლიერებდა ზეწოლას ლუკაშენკოზე, რათა მას თავისი არმია გაეგზავნა ფრონტზე. ლუკაშენკო ყოყმანობდა. მან სიტყვიერად მხარი დაუჭირა რუსეთის აგრესიას, თვალი დახუჭა იმაზე, რომ რუსეთის არმიამ ბელორუსია-უკრაინის საზღვარზე სრული კონტროლი დაამყარა. აქედან რუსული თვითმფრინავები უკრაინის ქალაქებს ბომბავდნენ, რუსული არმია კი კიევისაკენ მიიწევდა.

ლაშქრობა კიევზე, როგორც ცნობილია, მარცხით დასრულდა. პუტინმაც ლუკაშენკოზე ზეწოლა გააძლიერა. ბელორუსის თვითმარქვია პრეზიდენტი კვლავ ყოყმანობდა. მიზეზი მარტივი და პროზაულია: ბელორუსის არმია სულ 45.000-ს ჯარისკაცს ითვლიდა. აქედან ბრძოლისუნარიანი მხოლოდ 17.000 იყო.

– პუტინმა გამოსავალი მოძებნა. მაკეი მისი ბრძანებით მოკლეს, – ამტკიცებს ჟდანოვი.

ექსპერტების აზრით, მაკეის მკვლელობა რუსული კომბინაციის მხოლოდ პირველი ნაწილია. შემდეგ ამას თავად ლუკაშენკოს ლიკვიდაცია მოყვება. მას ან რომელიმე რუსი ჩეკისტი შეცვლის, ან რუსული ფსბ-ს რომელიმე ბელორუსი აგენტი. შემდგომი მოვლენები ცხადზე უცხადესია: რუსეთ-ბელორუსის გაერთიანება ოფიციალურად გაფორმდება, აკი ე.წ. რუსეთ-ბელორუსის „სამოკავშირეო სახელმწიფოს“ შექმნა ქაღალდზე უკვე გაფორმებულია. სათანადო რეფერენდუმიც ჩატარდა.

მაკეის მკვლელობით ბელორუსში დიდი მოვლენები დაიწყო.

ბაიდენზე ზეწოლა ძლიერდება

ამერიკელი რესპუბლიკელები უკრაინისადმი დახმარებას მხარს უჭერენ. ამავე დროს ისინი დახმარებაზე კონტროლის გაძლიერებას მოითხოვენ.

– არ უნდა დავუშვათ, რომ თუნდაც ერთი ცენტი წავიდეს არადანიშნულებისამებრ, – აცხადებენ ისინი.

როგორც ცნობილია, აშშ-ის კონგრესში ძალთა განლაგება შეიცვალა. იქ უმრავლესობას ახლა რესპუბლიკელები შეადგენენ. მიუხედავად ამისა, უკრაინაზე ეს არ აისახება.

– რესპუბლიკური პარტია უკრაინისადმი დახმარებას განაგრძობს, – განაცხადა რესპუბლიკელმა მაკფოლმა.

ამავე დროს მკაცრად გაკონტროლდება ის სახსრები, რომელსაც აშშ უკრაინას გადასცემს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ირანში აიათოლა ჰამენეის დისშვილი დააპატიმრეს

ირანში ადგილობრივი სულიერი ლიდერის აიათოლა ჰამენეის დისშვილი ფარიდე მორადხანი დააპატიმრეს. მას ბრალად ედება ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობა.

მარადჰანი დისიდენტი იყო. მან დასავლეთს ირანის ფართომასშტაბიანი ბლოკადისაკენ მოუწოდა.

რუსეთი უკრაინის ქალაქების ხელახალი დაბომბვებისთვის ემზადება

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. უკრაინელებმა დონბასში ოკუპანტების 12 შეტევა მოიგერიეს. რუსებმა სერიოზული დანაკარგები განიცადეს ავდეევკასთან, სოლედართან, ბახმუტთან, უგლედართან, ნოვომიხაილოვკასთან და ა.შ. დონეცკის ოლქში რიგ პოზიციებზე ოკუპანტებმა დიდი დანაკარგებით დაიხიეს უკან. უკრაინული არმიის მიერ გათავისუფლებული აღმოჩნდა მაკეევკა. განსაკუთრებით დიდია მსხვერპლი ახლად მობილიზებულ რუს ჯარისკაცებს შორის.

ოდიოზურმა რუსმა პროპაგანდისტმა სოლოვიოვმა რტრ-ის ეთერში განაცხადა, რომ ბრძოლის ველზე რუსეთი ვერაფერს გახდა. ამავე დროს მან თქვა, რომ ეს არაფერს ნიშნავს.

– ჩვენ უკრაინის ქალაქებს მიწასთან გავასწორებთ და საცხოვრებლად უვარგისად გავხდით! უკრაინელებსაც ორი გამოსავალი დარჩებათ: ან დანებება, ან სამშობლოდან გადახვწა! – აცხადებს სოლოვიოვი.

უახლოეს დღეებში რუსეთი უკრაინის ტერიტორიას კვლავ დაბომბავს. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ნატალია გუმენიუკმა განაცხადა:

– უკრაინის მოსახლეობას მოვუწოდებ, რომ მოიმარაგონ საკვები, წყალი და თბილი ტანსაცმელი. უახლოესი დღეები ძალზე მძიმე იქნება!

საზოგადოება

გოჩა კაპანაძე ცხინვალის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა

რეჟისორი გოჩა კაპანაძე ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაინიშნა.

„პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იგი მოცემულ პოზიციას 4 წლის ვადით 4 დეკემბრიდან დაიკავებს. შესაბამისი ბრძანება კი უკვე გამოცემულია.

გოჩა კაპანაძეს ცხინვალის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოზიციაზე ამჟამინდელი უფლებამოსილების ვადა 3 დეკემბერს ამოეწურება.

ცხინვალის დრამატულ თეატრში კონკურსი 17 ოქტომბერს გამოცხადდა და მასში მხოლოდ გოჩა კაპანაძემ მიიღო მონაწილეობა, რის საფუძველზეც რეჟისორის კანდიდატურა კულტურის მინისტრმა განსახილველად კულტურის სამინისტროსთან არსებულ პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევ სარეკომენდაციო საბჭოს წარუდგინა. საბჭოს სხდომაზე კენჭი უყარეს გოჩა კაპანაძის კანდიდატურას და ერთხმად გადაწყვიტეს ცხინვალის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად სამინისტროსთვის სწორედ აღნიშნული კანდიდატურა წარედგინათ. შედეგად, გოჩა კაპანაძე კვლავ სსიპ ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა.

სამინისტროსთან არსებული პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს დებულების თანახმად, რომელიც შარშან 6 დეკემბერს დამტკიცდა, სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევ კონკურსს აცხადებს სამინისტრო, ხოლო კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო პირობები კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრება. სამინისტრო წარდგენილი კანდიდატებისგან არანაკლებ ორ და არაუმეტეს სამ კანდიდატს შეარჩევს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარდგენილია მხოლოდ ერთი კანდიდატი. შერჩეულ კანდიდატთა სია წარედგინება სარეკომენდაციო საბჭოს, რომელიც აარჩევს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატურას და წარუდგენს კულტურის მინისტრს.

საბჭო ვალდებულია მინისტრს რეკომენდაცია კანდიდატის წარდგენიდან ერთი თვის განმავლობაში მიაწოდოს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

კავკასია სუპერლიგაში ნაგებულია

ხუსთავი-კავკასია 67:88

(17:13, 11:24, 24:22, 15:29)

სუპერლიგის მე-5 ტურში ორი დაუმარცხებელი გუნდის გზები გადაიკვეთა. ჩემპიონატში წაუგებელი მხოლოდ რუსთავი და კავკასია იყვნენ დარჩენილები და ერთმანეთს ქვემო ქართლში შეხვდნენ. მასპინძლებს 3-დან 3 მოგება ჰქონდათ, სტუმრებს კი – 4-დან 4.

კავკასიას რუსთავში ბლომად ქომაგი ჩაჰყვა, რომლებიც თავის გუნდს ბოლომდე გვერდით დაუდგნენ. შეხვედრა ბოლო პერიოდში ოციოდე წუთით შეწყდა, რაც დარბაზის დაკვამლიანების გამო მოხდა. მაყურებლებმა, სავარაუდოდ, პეტარდები გახსნეს და, სანამ, მოედანი არ დასუფთავდა, მსაჯებმა მატჩი არ გააგრძელეს.

ამ მომენტისთვის კავკასია 8 ქულით იგებდა, მაგრამ მთავარი მწვრთნელი, ბექა წივწივაძე და ერთ-ერთი ლიდერი, ჯასტინ ფორესტი გაგდებული ჰყავდა. წივწივაძე მსაჯებთან ერთ-ერთი ეპიზოდის გაპროტესტების გამო იყო მოედნიდან გასული, ფორესტმა კი, ტექნიკური და არასპორტული ჯარიმები მიიღო. კავკასიელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დარჩენილ დროში არა თუ მეტოქეს მიახლოების საშუალება მისცეს, არამედ კიდევ უფრო ჩამოიტოვეს.

დასკვნითი პერიოდი კავკასიამ 29:15 მოიგო და რუსთავი საბოლოოდ დიდი სხვაობით – 88:67 დაამარცხა. კავკასიელებს კრის მაკნილმა ულიდერა 22 ქულით. აიზია ელისმა 18 ქულა და 15 მოხსნა მოაგროვა. ლევან გოგიჩაიშვილის ანგარიშზე 13 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა. რუსთავში 17 ქულით ბომბარდირი გახდა ტრეი კროფტი. ეიეერი დიგსის ანგარიშზე კი, 14 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა.

მეგა-დელტა 76:82

(19:20, 16:12, 15:28, 22:12, 4:10)

დაძაბულ, ოვერტაიმიან მატჩში გურჯაანის დელტამ მეგა 82:76 დაამარცხა და სუპერლიგის ლიდერებში მყარად დგას.

დელტამ მიმდინარე სუპერლიგაში უკვე მეორე მატჩი მოიგო დამატებით დროში. პირველად გურჯაანელებმა ოვერტაიმში ვერას სძლიეს, ახლა კი, დამატებით დროში ბრძოლა მეგასთან მოუწიათ.

მიუხედავად იმისა, რომ მეგა მეტოქეს 2 ქულით ჩამორჩებოდა, დელტას ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია. შეხვედრა მთლიანობაში თანაბარი იყო, მცირე სხვაობით ხან მეგა ლიდერობდა, ხანაც – დელტა.

ძირითადი დროის ბოლო წამებზე მეგას შეეძლო გამარჯვება. დასრულებამდე 6 წამით ადრე ამერიკელმა ლეგიონერმა, მარკუს გილსონმა ეფექტური გდებით ანგარიში გაათანაბრა და მეტოქემ მასზე წესები დაარღვია. გილსონს ბონუს-საჯარიმო რომ ჩაეგდო, მეგა დიდი ალბათობით გაიმარჯვებდა, თუმცა... 72:72 და დამატებითი 5-წუთეული დაინიშნა.

მეგა ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ ორჯერვე ვახტანგ ქადარიას ბურთებით დელტამ ლიდერის ვექტორი თავისკენ გადახარა. საკვანძო გამოდგა ირაკლი სულხანიშვილის ბურთი, რომელიც 1 წუთით ადრე ჩააგდო და დელტა 79:76 დააწინაურა. როცა მეგას კალათბურთელებმა შეტევა გააცუდეს, თამაშის ბედი გურჯაანელთა სასარგებლოდ გაირკვა.

გამარჯვებულებს 20 ქულითა და 10 მოხსნით გეგი ბაქრაძემ ულიდერა. 17 ქულა რიკარდო ლინჩმა მოაგროვა. ყველაზე მაღალი ეფექტურობის მაჩვენებელი (19) ზურაბ მაჩალაძეს ჰქონდა, რომელმაც 8 მოხსნა, 8 პასი, 4 ქულა და 2 ჩაჭრა ისე დააგროვა, ბურთი არ დაუკარგავს. მეგას შემადგენლობაში 26 ქულით საუკეთესო იყო რონი როზიე. 14 ქულა ოთარ ბულიავამ დააგროვა, მარკუს გილსონის ანგარიშზე კი 6 ქულა და 13 მოხსნა დაგროვდა.

თსუ-ოლიმპი 73:87

(15:30, 17:20, 22:18, 19:19)

ოლიმპი მაგარ ფორმაში შედის. როგავას გაწვრთნილმა გუნდმა სუპერლიგაში ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. ოლიმპი სასტარტო ხუთეულის 3 წამყვანი კალათბურთელის – ეროვნული ნაკრების წევრ გივი ბაქრაძის, კანდიდატი გიორგი ტურძილაძისა და ამერიკელი ლინტონ ესლაისის გარეშე თამაშობდა, მაგრამ ამბიციური თსუ დაამარცხა – 87:73.

თავად თსუ-ს ეროვნული ნაკრების 3 მოთამაშე ჰყავს – გიორგი ცინცაძე, მიხეილ ბერიშვილი და ბექა ბექაური. ამასთან, ოლიმპთან უნივერსიტეტელებმა ახალი ამერიკელი ლეგიონერი, ბრაიან დაუსონი ათამაშეს. თუმცა, როგავას გაწვრთნილმა გუნდმა პირველივე პერიოდში რომ მოიპოვა 15-ქულიანი უპირატესობა, მას შემდეგ ოლიმპის ლიდერობა 12-ს აღარ ჩამოსცდენია.

ბაქრაძის არყოფნა სრულად აანაზღაურა მასავით ტანმორჩილმა და სხარტმა ოლიმპელთა უკანახაზელმა დრუ კუქსჰაუსენმა, რომელმაც საწყის 15 წუთში 20 ქულა მიითვალა და თსუ რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. ამერიკელ სნაიპერს მხარი კარგად აუბეს ლუკა კალატოზიშვილმა, ვლადიმერ თავაქარაშვილმა და უკანახაზელმა ლუკა ლიკლიკაძემ. ამ დროისთვის ოლიმპი უკვე 22 ქულით – 39:17 იგებდა და თსუ-ს გადარჩენის შანსი არსაიდან ჩანდა.

თსუ-ს სნაიპერს, მიხეილ ბერიშვილს, რომელმაც წინა, ქუთაისში იოლად მოგებულ მატჩში 8 სამქულიანი ჩააგდო, ამჯერად მიზანი გაუმრუდდა. ერთი, რომ მიშას ოლიმპელები მჭიდროდ მეურვეობდნენ და მეორეც, მისი სროლები მიზანს ვერ აღწევდა, ხოლო გიორგი ცინცაძის შედეგიანი გარღვევები და საშუალო სროლები წინ გაჭრილი ოლიმპელების წამოსაწევად არ კმაროდა.

დიდი შესვენებისთვის ოლიმპი 18 ქულით იგებდა და თუ თსუ-ს მოგების პრეტენზია ჰქონდა, მესამე პერიოდში რამე უნდა ეღონა. ლექსო ლაფანაშვილმა ცდა არ დააკლო, რომელმაც წუთშესვენებებიც აიღო და ტაქტიკაც არაერთხელ შეცვალა, მაგრამ გამართულად მოთამაშე

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

პორტუგალია და ბრაზილია საფრანგეთს შეუერთდა

ჰოხტუგალია-უოუგვაი 2:0
ლუსაილი. ლუსაილ სთედიუმი
1:0, 2:0 ბ.ფერნანდეში (54, 90ჰ)

პორტუგალია: დ.კოშტა, კანსელუ, რ.დიაში, პეპე, მენდეში (გერეირო 42), ბ.სილვა, კარვალიუ (პალინია 82), ნეეესი (ლეაო 69), ბ.ფერნანდეში, რონალდუ (რამოში 82), ფელიქსი (ნუნიეში 82)

ურუგვაი: როჩეტი, ხიმენესი, გოდინი (პელისტრი 62), კოატესი, ოლივერა (ვინა 86), ვალვერდე, ბენტანკური, ვესინო (დე არასკაეტა 62), ვარელა, კავანი (სუარესი 72), ნუნიესი (გომესი 72)

პორტუგალიის ნაკრებმა მეორე ტურში ურუგვაი 2:0 დაამარცხა და ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა.

ფერნანდუ სანტუშის გუნდმა მძიმედ მოთამაშე ურუგვაის აჯობა და გამარჯვება დამსახურებულად მოიპოვა. თუმცა, სამხრეთამერიკელებსაც ჰქონდათ მომენტები. მთლიანობაში პორტუგალია უკეთესი იყო. უფრო მაღალი კლასის და უფრო ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა და 3 ქულაც ლოგიკურად მოიპოვა. ბრწყინვალე ფორმაშია ბრუნო ფერნანდეში, რომელმაც წინა ტურში გაკეთებულ 2 საგოლე პასს ამჯერად 2 გოლი დაუმატა და დუბლით პორტუგალია მერვედფინალში გაიყვანა, სადაც დიდი ალბათობით პირველი ადგილით გავა და ბრაზილიას მერვედფინალში არ დაუპირისპირდება.

ფერნანდეშის პირველი გოლი თავდაპირველად კრიშტიანუ რონალდუს ჩაუთვალეს, მაგრამ შემდეგ გადააკეთეს. ამის მიუხედავად, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია ფიფაში მტკიცებულებების წარდგენას აპირებს, რომლითაც დაამტკიცებს, რომ ბურთი რონალდუმ გაიტანა. 54-ე წუთზე კრიშტიანუ, ბრუნუ ფერნანდეშის ჩაწოდებულ ბურთზე ახტა და, როგორც ჩანს, თმის წვერებით შეეხო სფეროს. ყოველ შემთხვევაში, თავად ამტკიცებს, ბურთი შეეხოო.

ურუგვაის ნაკრები ორ ტურში ერთადერთი ქულით „იწონებს“ თავს და ჯერ გოლიც არ გაუტანია. „სელესტეს“ მესამე ტურში განასთან მოუწევს თამაში და თუ მოიგებს, ალბათ ჯგუფურ ეტაპს დაძლევს (თუ პორტუგალია სამხრეთ კორეასთან არ წააგებს).

სამხეთ კოხეა-განა 2:3
ალ რაიანი. ედუქეიშენ სითი სთედიუმი
0:1 სალისუ (24), 0:2 კუდუსი (34), 1:2, 2:2 ჩო (58, 61), 2:3 კუდუსი (68)

ს.კორეა: კიმ სეუნგ-გიუ, კიმ-მუნ-ჰვანი, კიმ მინ-ჯე (კვონი 90), კიმ იუნ-გვონი, კიმ ჯინ-სუ, ჰვან ინ-ბომი, იუნგი (უი-ჯო 78), კვონი (კან-ინ ლი 57), ჯეონგი (ნა სანგ-ჰო 46), სონი, ჩო

განა: ატი-ზიგი, ლემპტი (ოდოი 78), ამარტი, სალისუ, მენსა (ბაბა 88), პარტეი, სამედი, კუდუსი (ჯიკუ 83), ა.აიუ (კეირე 78), ჯ.აიუ (სულემანა 78), უილიამსი

მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ტურში განის ნაკრებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და მერვედფინალში გასვლის შანსი გაიზარდა.

აფრიკელებმა სამხრეთ კორეის ნაკრებს ძალიან დაძაბულ ბრძოლაში 3:2 აჯობეს. ზოგადად, თამაში ძალიან კარგი გამოვიდა და ორივე გუნდმა კარგი ფეხბურთი აჩვენა.

განამ კარში სამჯერ დაარტყა და სამი გოლი გაიტანა: აფრიკელებმა პირველი ტაიმი სალისუსა და მოჰამედ კუდუსის გოლებით მოიგო. ეს უპირატესობა მეორე ტაიმის დასაწყისში გაქრა – გუ-სუნ ჩომ 3-წუთიან ინტერვალში თავით ორჯერ გაიტანა და პაულუ ბენტუს გუნდმა ანგარიში გაათანაბრა.

სწორედ მაშინ, როცა სამხრეთ კორეის ნაკრებს მოსაგებად უნდა გაეწია, ისევ ჩამორჩა. 68-ე წუთზე მოჰამედ კუდუსიმ დუბლი შეასრულა. დარჩენილ დროში აფრიკელებმა უპირატესობა შეინარჩუნეს.

თავის მხრივ, მეორე ადგილისთვის ბრძოლაში განა ყველაზე კარგ ვითარებაშია, რადგან ბოლო ტურში მიზნის მისაღწევად ქულაც ეყოფა და, რაც მთავარია, განვლილ ორ ტურში ურუგვაისა და სამხრეთ კორეაზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა.

სატუნირო ცხრილი:

1.პორტუგალია	2	2	0	0	5-2	6
2.განა	2	1	0	1	5-5	3
3.ს.კორეა	2	0	1	1	2-3	1
4.ურუგვაი	2	0	1	1	0-2	1

ბრაზილია-შვეიცარია 1:0
დოჰა. სთედიუმ 974
1:0 კაზემირო (83)

ბრაზილია: ალისონი, მილიტაო, ტ.სილვა, მარკინიოსი, ა.სანდრო (ტელეში 86), პაკეტა (როდრიგო 46), კაზემირო, ფრედი (ბ.გიმარაეში 58), რაფინია (ანტონი 73), რიშარლისონი (ჟეზუსი 73), ვინისიუსი

შვეიცარია: სომერი, ვიდმერი (ფრაი 86), აკანჯი, ელვედი, როდრიგესი, რიდერი (სტეფენი 58), ფროილერი, ჯაკა, სოუ (ებიშერი 76), ემბოლო (სეფეროვიჩი 76), ვარგასი (ფერნანდესი 58)

ტიტეს გუნდი შვეიცარიას დაუპირისპირდა და ძალზე მძიმე ბრძოლაში 1:0 დაამარცხა. გამარჯვების გოლი კაზემირომ მატჩის მიწურულს გაიტანა და საკუთარ გუნდს მეორე თამაში მოაგებინა.

ზოგადად, თამაში არ გამოდგა საუკეთესო ხარისხის და მომენტები იშვიათად იქმნებოდა, მხოლოდ შვეიცარიელთა კართან, რადგან მურატი იაკინის გუნდს მთელი მატჩში განმავლობაში კარში არ დაურტყამს. აღსანიშნავია, რომ იგივე მაჩვენებელი ჰქონდათ ბრაზილიასთან წინა მატჩში სერბებსაც, რაც სამხრეთამერიკული გუნდის დაცვლის სიძლიერეზეც მეტყველებს.

ისიც აღვნიშნოთ, რომ ბრაზილიელებს ნეიმარის არყოფნა ეტყობოდათ. ჯგუფში მეორე ადგილის ბედი მესამე ტურში გაირკვევა. შვეიცარიას 3 ქულა აქვს და სერბეთს შეხვდება, რომლის აქტივში ერთი ქულაა. ასევე ქულა აქვს კამერუნს, მაგრამ მისი საქმე რთულადაა, რადგან ბრაზილიას ხვდება და არც მხოლოდ საკუთარ თავზეა დამოკიდებული.

სატუნირო მდგომარეობა:

1.ბრაზილია	2	2	0	0	3-0	6
2.შვეიცარია	2	1	0	1	1-1	3
3.კამერუნი	2	0	1	1	3-4	1
4.სერბეთი	2	0	1	1	3-5	1

დასაწყისი მე-6 გვერდზე

კავკასია სუპერლიგაში წაგებულია

ოლიმპელებს ვერაფერი დააკლო. ოლიმპმა მესამე პერიოდი 4 ქულით დათმო, მაგრამ ბოლო ათწუთიული აღმავლობით დაიწყო, ლიდერობა გაიმყარა და გამარჯვებამდე აუღელვებლად მივიდა. 2 საწყისი წაგების შემდეგ ეს ოლიმპის მეორე გამარჯვებაა და სუპერლიგის ვიცე-ჩემპიონი ცხრილის შუაწელში დამკვიდრდა. თსუ-ს კი, 5 მატჩიდან უკვე 3 მარცხი მოუგროვდა.

ოლიმპელთა გამარჯვებაში ლომის წილი კუქსჰაუსენმა დაიდო, რომელმაც შეუცვლელად, 40 წუთი ითამაშა და 30 ქულა, 15 მოხსნა და 6 პასი მიითვალა. 23 ქულა და 8 მოხსნა ლუკა კალატოზიშვილმა მოაგროვა, ვლადიმერ თავაქარაშვილის ანგარიშზე კი 14 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა. ლუკა ლიკლიკაძემ შეხვედრა 10 ქულით, 6 პასით, 4 მოხსნითა და 2 ჩაჭრით დაასრულა. თსუ-ში 18 ქულით და 15 მოხსნით საუკეთესო შედეგი ბექა ბექაურმა დააფიქსირა, 19 ქულა, 8 მოხსნა და 7 პასი გიორგი ცინცაძის ანგარიშზეა. დებიუტი 10 ქულითა და 5 მოხსნით აღნიშნა ბრაიან დაუსონმა.

ტიტები-ჯაჯუსი 65:94
(18:30, 17:15, 12:26, 18:23)

კაკტუსმა დაამტკიცა, რომ წინა

მატჩში მეგასთან დამარცხება შემთხვევითობა იყო. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა, რომელმაც ჩემპიონატი 3 გამარჯვებით დაიწყო და წინა ტურში პირველი მარცხი განიცადა, მორიგ ტურში ტიტები დაამარცხა და სუპერლიგის ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსი გაამართლა. კაკტუსელებმა საკმაოდ მძლავრ მეტოქეს დამაჯერებლად მოუგეს – 94:65.

ტიტებს ჩავარდნა აქვს. ბესიკ ლეჟავას გუნდმა სუპერლიგაში მე-3 მარცხი განიცადა, გამარჯვება კი მხოლოდ ერთი აქვს. კაკტუსთან ტიტებს წარმატების შანსი თითქმის არც ჰქონია. პირველი პერიოდი კაკტუსმა 30:18 მოიგო, მეორეში ტიტებმა თამაში ოდნავ კი გამოასწორა და დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა 10 ქულამდე შეამცირა. გარდამტეხი გამოდგა მე-3 პერიოდი, რომელიც კაკტუსმა 14 ქულით მოიგო და ბოლო პერიოდის წინ 24 ქულით დაწინაურდა.

მატჩის ბედი გარკვეული იყო და დარჩენილ 10-წუთეულში გასარკვევი მხოლოდ საბოლოო ანგარიში გახლდათ.

გამარჯვებაში სოლიდური წილი დაიდო რაიან ალენმა, რომელმაც 20 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. 15 ქულა მაილს დენიელსმა მოაგროვა, მერაბ ბოქოლიშვილის ანგარიშზე კი 14 დაგროვდა. ტიტებში 16 ქულით ბომბარდირი კვენტინ დევისი გახდა. 13 ქულა, 8 მოხსნა და 5 პასი ორდანე კანდას ანგარიშზეა.

ვეჩა-ქუთაისი 85:77
(16:15, 28:21, 28:17, 13:24)

სუპერლიგაში მოუგებელი გუნდიც აღარაა. ერთადერთი, ვისაც მოგება დაჭაშნიკებული არ ჰქონდა, ვერა იყო და პირველი გამარჯვება ქუთაისთან მოიპოვა. დავით გასიტაშვილის გაწვრთნილმა ვერელებმა შინ 85:77 დაამარცხეს.

საწყისი 4 წაგების შემდეგ ვერამ პირველი გამარჯვება იზეიმა, რაც ქუთაისელებისთვის განგაშის მიზეზი უნდა იყოს. მოქმედი ჩემპიონი ისე უიმედოდ აგებს ბოლო მატჩებს, რომ თუ ასე გააგრძელა, ტიტულის დაცვა კი არა, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაუხდება მთავარ სამიზნედ.

კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა მიმდინარე სუპერლიგაში მხოლოდ 1 შეხვედრა, ისიც მძლავრ ოლიმპთან მოიგეს – თსუ-თან, ბათუმთან და ვერასთან თამაშები კი უშანსოდ დათმეს. სამივე წაგებულ შეხვედრაში ქუთაისელებს წარმატების შანსი არ ჰქონიათ.

ასე იყო ვერასთან 8 ქულით წაგებულ შეხვედრაშიც. საბოლოო სხვაობა ბევრი არ გახლდათ, მაგრამ ბოლო პერიოდში ვერელთა ლიდერობამ რამდენჯერმე 20-ს მიაღწია და შეხვედრის ბედი საფინალო სირენამდე საკმაო ხნით ადრე გაარკვია. ქუთაისელებმა ბოლო წუთებზე ჩამორჩენის შემცირება შეძლეს და თუ ეს რამე შვებას ნიშნავს, ღირსეული სხვაობით წააგეს.

ვერელებმა დიდებული მესამე პერიოდი ჩაატარეს და ამ საკვანძო მონაკვეთში გატეხეს მეტოქე. პირველი ნახევრის შემდეგ თბილისური გუნდი მხოლოდ 8 ქულას იგებდა, ხოლო დიდი შესვენების შემდეგ ტემპს კიდევ უმატა, სიზუსტის ხარისხიც გაზარდა და უპირატესობა 22 ქულამდე ასწია. გამოსარჩევია მარტის კიმბროს გარჯა, რომელმაც 6 სამქულიანი, ჯამში კი 29 ქულა მიითვალა. 14 ქულით ლუკა ზაქრაძე გამოირჩა. ქუთაისელთაგან ცენტრის, კრისტოფერ უეირის გარჯაა გამოსარჩევი – 17 ქულა, 9 მოხსნა.

სატუნირო ცხრილი:

1.კავკასია	5	5	0430-370	10
2.კაკტუსი	5	4	1397-356	9
3.დელტა	5	4	1404-376	9
4.რუსთავი	4	3	1336-314	7
5.თსუ	5	2	3377-388	7
6.ოლიმპი	4	2	2328-324	6
7.ვერა	5	1	4390-412	6
8.მეგა	5	1	4373-431	6
9.ტიტები	4	1	3327-339	5
10.ბათუმი	4	1	3329-346	5
11.ქუთაისი	4	1	3327-362	5

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პოლონეთის პრეზიდენტი; 2. შლამი, დანალექი ტბის, მდინარის ფსკერზე; 3. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე ქართველი მხატვარი; 4. იაპონური, ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 5. აეროპორტი მადრიდში; 6. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 7. მდინარე ახალციხეში; 10. კათოლიკური ეკლესიის მამამთავარი; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 12. სახელმწიფო ევროპაში; 13. ძველებური, რბილი ტყავის, დაბალყელიანი ფეხსაცმელი საქართველოში; 16. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 18. ბაღი ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს სკოლა; 19. გია დანელიას კინოკომედია; 21. გარეული ცხოველი მადრიდის სიმბოლო; 24. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა.

თარაზულად: 1. დაბალი რანგის დიპლომატი; 3. გვარი, ჯიში, მოდგმა; 8. ტბა სამხრეთ საქართველოში; 9. სარკინიგზო ვაგონების სადგომი; 14. მდინარე ბერლინში; 15. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 17. უკრაინის პარლამენტი; 20. სამგზავრო სარკინიგზო ვაგონის ქართული სახელწოდება; 22. მოკლე მისასალმებელი სადღეგრძელო სუფრაზე; 23. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 25. უკრაინული ბორში; 25. რძის პროდუქტი; 27. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 28. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფაკირი; 2. არგო; 3. ალარმისტი; 4. შრატი; 5. ლაუდერი; 8. უშგული; 9. ზინგშპილი; 12. იუმორი; 14. კურტუა; 16. ოკაცე.

თარაზულად: 1. ფუმიგაცია; 6. ალეგორია; 7. კონუნგი; 9. ზღარბი; 10. ციხე; 11. პულმანი; 13. ჰოკეი; 15. სულიკო; 17. ჯიბგირი; 18. ბოგოტა; 19. ყურუში; 20. ჰელიოსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბიტი; 2. ოდა; 3. ბოროდინი; 4. შუ; 5. ცუცხვათი; 6. პელე; 7. ცინიზმი; 10. ქროუ; 11. ბალახვანი; 12. კაპიტანი; 16. კურტუა; 18. ქორწილი; 19. შტანგა; 21. რაგბი; 24. მახრა.

თარაზულად: 1. ბაჯაღლო; 2. ბეკეში; 8. თუშეთი; 9. ჟოქო; 14. ხონგა; 15. ჩაჩავა; 17. პუფი; 20. ნახირი; 22. თქორი; 23. ტატამი; 25. კიი; 26. ტოგა; 27. მწდე; 28. ხორნაბუჯი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7153

ევრო — 2.8196

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2638

100 რუსული რუბლი — 4.4519

ამინდის პროგნოზი 30 ნოემბრისათვის

ტიტე: „ბრაზილიამ თავისი ამოცანა შეასრულა“

ბრაზილიამ ჯგუფური ეტაპის მეორე შეხვედრაში შვეიცარია დაამარცხა და მათ ჯგუფიდან გასვლა გაინაღდეს. ამ შედეგის შემდეგ ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტიტემ განაცხადა, რომ ის კმაყოფილია თავისი გუნდის თამაშით და ბრაზილიელები მხოლოდ პირველი ადგილისთვის იბრძოლებენ: „ჩვენ წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი და ჯერ მხოლოდ ნახევარი გავიარეთ, თუმცა ვიცით, რომ გამარჯვება შეგვიძლია და ჩვენი თავის გვჯერა. იმედი მაქვს, რომ გულშემატკივარი გვერდში დაგვიდგება, რადგან მათი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია“.

ტომას მიულერი: „გერმანიის ნაკრების ჩამოწერა ნაადრევია“

მიუნხენის ბაიერნის და გერმანიის ნაკრების ფორვარდმა ტომას მიულერმა გერმანიის ნაკრებზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ გუნდის ჩამოწერა ნაადრევია და გერმანელებს შეუძლიათ ჯგუფიდან გასვლა: „ბევრი კრიტიკა იყო ჩვენ მიმართ და ეს კრიტიკა დავიმახსოვრეთ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ჯგუფიდან გასვლა და ამისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. მინდა, რომ გულშემატკივარი გავახაროთ“.

რონალდუ: „პორტუგალიის ნაკრებს პოტენციალი აქვს“

კრიშტიანო რონალდუმ თავისი ნაკრების თამაში შეაფასა და თქვა, რომ ის კმაყოფილია და პორტუგალიას აქვს პოტენციალი, რომ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს, თუმცა ამისთვის იღბალიც საჭირო იქნება: „ურუგვაისთან ყველას დავუმტკიცეთ, რომ ჩვენ ბევრი შეგვიძლია და არ არის საჭირო ზედმეტი კრიტიკა. მსოფლიო ჩემპიონატზე სუსტი მეტოქეები არ არსებობს და იოლად ვერავის დაამარცხებ. ჩვენ შეგვიძლია მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგოთ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

კაცმა ქალის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა და ეუბნება:
– ძვირფასო, გამომყევი ცოლად:
– აშოტ, ფეხზე ადექით და ნუ აფუჭებთ ჩვენ ახალ შარვალს!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ძვირფასო, მღალატობ?
– საიდან მოიტანე, ძვირფასო?
– შენ გარშემო სულ მუდამ ჭკვიანი და ლამაზი ქალები ტრიალებენ.
– მე ჭკვიანი და ლამაზი ქალები არ მჭირდება, მე შენ მჭირდები.

●●●

ექიმი მამაკაცს ეკითხება:
– რეჟიმს იცავთ?
– არა, მე ის დავამხე!

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:
– თქვენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს: ცუდი და კარგი.
– კარგით დაიწყეთ.
– საპენსიო რეფორმა თქვენთვის პრობლემა აღარ იქნება.

●●●

კაცი ქალს ეკითხება:
– ცხოველები გიყვართ?
– ძალიან!
– მერე წამიყვანეთ თქვენთან, იცი, როგორი საქონელი ვარ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სტეფანე მღებრიშვილმა ახალ კლიპში გია სურამელაშვილი გადაიღო



მომღერალმა სტეფანე მღებრიშვილმა, ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ, მაყურებელს ახალი ნამუშევარი შესთავაზა.

„გაიღიმე“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომლის მუსიკისა და ტექსტის ავტორიც თავად არის.

ენერგიულ სიმღერაზე სტეფანემ საკმაოდ ორიგინალური ვიდეორგოლი გადაიღო და მისი მთავარი გმირი გია სურამელაშვილი გახდა.

კლიპის ინტერნეტში განთავსებისთანავე მას ათასობით ნახვა, მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

ირმა შარიქაძის ფილმი პარიზში საუკეთესოდ დასახელდა

ფოტოგრაფ ირმა შარიქაძის დოკუმენტური ფილმი „აჭარული მზითვის ფერი“ საფრანგეთში საუკეთესოდ აღიარეს.

პარიზმა მოდის ფილმების საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლა, სადაც სხვადასხვა ქვეყნის კონკურსანტი მონაწილეობდა. ირმა შარიქაძის ნამუშევარი წლის საუკეთესო დოკუმენტურ ფილმად დასახელდა.

„შვიდკაცამ“ სცენაზე მოღვაწეობის 24 წელი კონცერტით აღნიშნა

ანსამბლმა „შვიდკაცამ“ სცენაზე მოღვაწეობის 24 წელი ქართული ესტრადის ვარსკვლავებთან ერთად აღნიშნა.

იუბილარმა მომღერლებმა ლიზა ბაგრატიონთან, ნინო ქათამაძესთან, ნატო მეტონიძესთან, ეკა მამალაძესთან, ნუკრი კაპანაძესთან, ნატალია ქუთათელაძესთან, ნეკა სებისკვერაძესთან, ნინო გულიაშვილთან და დათო გომართელთან ერთად შეკრებილი მსმენელისთვის საყვარელი სიმღერები შეასრულეს.

კონცერტის დასასრულს კი სადაბადებისდღეო ტორტზე ანთებული სანთლებიც ერთად ჩააქრეს და საუკეთესო სურვილებიც ჩაიფიქრეს.

თამარ სხირტლაძე საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს

93 წლის ასაკში გარდაცვლილი თეატრისა და კინოს მსახიობი თამარ სხირტლაძე საბურთალოს სასაფლაოზე მეუღლის კოტე თოლორაიასა და შვილის თაზო თოლორაიას გვერდით დაკრძალეს.

ხელოვანი უკანასკნელ გზაზე მშობლიური მარჯანიშვილის თეატრიდან გააცილეს, სადაც მას კოლეგებმა, მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა და რიგითმა მაყურებლებმა პატივი მიაგეს.

მსახიობი გაიხსენეს მისმა კოლეგებმა და მის მაღალპროფესიონალიზმზე ისაუბრეს.

უხუცესი მსახიობი მარჯანიშვილის თეატრიდან ტაშით გამოაცილეს.

თამარ სხირტლაძის სამოქალაქო პანაშვიდზე იმყოფებოდა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც:

– თამარ სხირტლაძე არაჩვეულებრივი მსახიობი იყო. დარწმუნებული ვარ, მის კარიერაზე აქ სხვა ადამიანებმა ბევრად მეტი იციან, ბევრი უნახავთ და გაიხსენებდნენ მის სხვადასხვა როლს. მე მას მხოლოდ ბოლო პერიოდში ვიცნობდი, მაგრამ ვიცნობდი, როგორც არაჩვეულებრივი ენერგიის ადამიანს, ბევრზე უფრო ახალგაზრდას, ამით დამამახსოვრდება. თითქმის ტოლი, ისეთი მეგობარი იყო, რომელთანაც ძალიან თავისუფალი, უშუალო ურთიერთობა შეიძლებოდა. ენერგიული და თავისუფალი ქალი დაგვაკლდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი



30 ნოემბრისათვის

ვერძი – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **კურო** – საყიდლებზე წასვლას პლანეტები არ გირჩევენ. ნავაჭრით უკმაყოფილო დარჩებით. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **კირჩხიბი** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **ლომი** – საოჯახო საქმეები დიდ დროსა და ენერგიას დაგახარჯვინებთ, თუმცა შედეგით კმაყოფილი დარჩებით. ერიდეთ წვრილმან საქმის გარჩევებს. **ქალწული** – ადამიანები გენდობიან. ეცადეთ, მათ იმედი არ გაუცრუოთ. უცნობებს თქვენს საქმეებში ნუ გარევთ. **სასწორი** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია. **დრიანკალი** – ფინანსური სიძნელეები შეგხვდებათ. მეგობრები ყოველგვარ გასაჭირში უყოყმანოდ დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისათვის მზად იყავით. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **თხის რქა** – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. დღეს დაისვენეთ ან საოჯახო საქმეებს მიხედეთ. **მერწყული** – წინააღმდეგობრივი დღეა. აგრესიისა და ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. **თევზები** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

დადიანების სასახლის რეაბილიტაციისთვის ამერიკამ 300.000 დოლარი გამოყო

საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმმა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გრანტი – 300 ათასი დოლარი მოიპოვა. ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა.

ხელოვნების სასახლეში გამართულ ღონისძიებას კულტურის მინისტრი თეა წულუკიანიც დაესწრო.

გრანტის მიზანია ზუგდიდის დედოფლისეული სასახლის რამდენიმე საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია, ისტორიული ნივთების რესტავრაცია და კონსერვაცია. გრანტით გათვალისწინებულ სამუშაოებში, ზუგდიდის დადიანების სასახლის თანამშრომლებსა და უცხოელ კოლეგებთან ერთად, ჩაერთვებიან ხელოვნების სასახლის თანამშრომლები.

გასულ წელს თეა წულუკიანის უწყების ინიციატივითა და მხარდაჭერით განხორციელებული რეაბილიტაციის შემდეგ, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ნიკოსეულ სასახლეში ახალი საგამოფენო და საგანმანათლებლო სივრცეები გაიხსნა, დედოფლისეულ სასახლეში კი ახალი ექსპოზიცია გამოიფინა.

ნიკოსეული სასახლის სრული რეაბილიტაცია ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით 2016-2019 წლებში განხორციელდა, „ქართუს“ შემდეგ კი სასახლეების აღორძინების საქმეში სამინისტრო ჩაერთო.

კულტურის სამინისტროს დაფინანსებით სასახლეში გადაუდებელი სამუშაოების პირველი ეტაპი შარშან ჩატარდა და დამთვალიერებელს საშუალება მიეცა, დედოფლის სასახლე სრულად დაეთვალიერებინა და ახალი ექსპოზიცია ენახა, სადაც ნივთების უმრავლესობა პირველად გამოფინა.

ეკატერინე დადიანის რეზიდენციაში მთავრისეული დარბაზი, უფლისწულ ანდრიას ოთახი და იმპერატორების გალერეა ჩამონგრეული ჭერის გამო ნახევარ წელზე მეტ ხანს დაკეტილი იყო.

სამომავლოდ საგამოფენო სივრცეების მეცნიერული კვლევა და სრული რეაბილიტაციაც იგეგმება.

მურმან ლებანიძის 100 წლის იუბილე ონში აღნიშნეს



2022 წელს პოეტ მურმან ლებანიძის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. საუკუნოვანი იუბილე სხვადასხვა ქალაქებში კულტურული ღონისძიებებით აღინიშნება.

თბილისის შემდეგ, მურმან ლებანიძის 100 წლისთავი მის მშობლიურ რაჭაში, ონში აღინიშნა. პოეტის საუკუნოვანი იუბილე რეჟისორმა ბაკურ ბაკურაძემ დადგა და მასში მონაწილეობდნენ კომპოზიტორები, მომღერლები და მსახიობები: ქეთი გაბისიანი, დავით არჩვაძე, აჩიკო ნიჟარაძე, ნუკრი კაპანაძე და კახა მიქიაშვილი.

დავით არჩვაძე, მომღერალი:

– მურმან ლებანიძის 100 წლის იუბილე ონში: ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ ქართველი ბუმბერაზი პოეტის სოფლიდან ვარ – კვაშხიეთიდან. მთელი ბავშვობა ჩავდიოდით ბავშვები ზაფხულობით მის სახლთან და ვეძახდით ლეგენდას. წლების შემდეგ უკვე თავად მესტუმრა, როდესაც 2 თაობა ქართული ხმები მყავდა სტუმრად და შემდეგ ჩემი სახლიდან მისას გადავინაცვლეთ ყველამ და ქალბატონ „ლენას“ ვუმღერეთ მისთვის შექმნილი ჯემალ სეფიაშვილის საოცარი სიმღერა „ლენ“. ბებია მყავდა ლებანიძის ქალი, მურმანის გარე ბიძაშვილი. ამ დიდებული პოეტის იუბილეს აღნიშვნა ონში ასე გრანდიოზულად უდიდესი სიხარულია ჩემთვის, როგორც რაჭველისა და ქართველისთვის.

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. თაფლიანი ფიჭა; 2. კომბინაცია პოკერში; 3. ესპანეთის ლიგაში მოთამაშე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრი; 4. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 5. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 8. ფულის ერთეული ტაჯიკეთში; 9. ლიტერატურული კრებული, სადაც დაბეჭდილია სხვადასხვა ავტორთა რჩეული ნაწარმოებები; 12. იაპონური მოტოციკლეტი; 14. მთის ბროლი, კვარცის ნაირსახეობა; 16. უბანი თბილისში.

თარაზულად: 1. წითელი ფერის, ნახევრად ტკბილი, ქართული სამარკო ღვინო; 6. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. ნილოსისპირა პოპულარული კურორტი ეგვიპტეში; 9. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 10. სვანური დროშა; 11. მატერიალური სიუხვე, ბარაქა; 13. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 15. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული თავსატეხის შემქმნელი; 17. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 18. გამომშრალი, უკურკო გარგარი; 19. ტაივანის დედაქალაქი; 20. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა